სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 24 აგვისტო 2000 №162 (1184) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოკომოტივი პენალტებისთვის ემზადება

„სლოვანთან“ იტალიიდან საგანგებოდ დაბრუნებული ზურაბ ხიზანიშვილი ითამაშებს

საქართველო ფრაიბურგში

ლიტვამდე საქართველოს ნაკრები ბუნდესლიგის კლუბთან წაივარჯიშებს

რეალში განხეთქილებაა

ფლორენტინო პერესი გენერალური დირექტორის სავარძელში ხორხე ვალდანოს ჩასვამს

ვინ არის კენი დალგლიშის ცოლის საყვარელი?

დავიდ ჟინოლა ლამაზმანებში ერთობ პოპულარულია

ჯო დუმარსმა ვლადიმერ სტეფანია სიეტლში დატოვა

დიდი გარიგება არ შედგა, მოლაპარაკება გრძელდება

REUTERS ბელგრადიდან

საქართველოს ნაკრების და კიევის „დინამოს“ მცველი კახა კალაძე ზედიზედ მესამედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში

ქართველები ლიგაში, ინტერი ოფსაიდში

ქართულ კლუბებს საევროპო საქმეები ტრადიციულად ისე ცუდად წაუვიდათ, ისღა დაგვრჩენია, უკარაინული ფეხბურთის წარმატება საკუთარივით გვიხაროდეს. ჩემპიონთა ლიგაში გუშინწინ მოხვედრილ „შახტარს“ გუშინ კიევის „დინამომ“, ცხადია, მხარი არ ჩამოუგდო. კიევის ქართველებმა დანაპირები აასრულეს, იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდაზე“ ქუთაისის „ტორპედოს“ ჯავრს ვიყრითო. უკრაინული კლუბი შინ უგოლო ფრის მერე ბელგრადში ნათამაშევი 1:1-ით ჩემპიონთა ლიგაში უკვე მეხუთედ მოხვდა, კახი კალაძე ზედიზედ მესამედ, გიორგი დემეტრაძე კი მეორედ. სამაგიეროდ, წლეულსაც ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩა იტალიური გრანდი მილანის „ინტერი“, რომელმაც პირველი მატჩის 0:1 ვერ გაუქვითა შვედურ „ჰელსინგბორგს“, თუმცა ამის კარგი შანსი ჰქონდა — ალვარო რეკობამ პენალტი ვერ გამოიყენა. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრილ გუნდთა ჩამონათვალიც აქვეა.

გუშინდელი მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

REUTERS მილანიდან

პენალტის ამცილებელი ალვარო რეკობა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

- მილანი
- გალათასარაი
- შახტარი
- ჰამბურგი
- ბეშიქთაში
- სპარტა
- შტურმი
- ლიონი
- პანათინაიკოსი
- დინამო
- ლიდსი
- რეინჯერსი
- რუსენბორგი
- ჰელსინგბორგი
- ანდერლეხტი
- ვალენსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მესამე ეტაპი
საპასუხო მატჩები. 23 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

სპარტა (ჩეხეთი) 1:0 ზიმბრუ (მოლდოვა) (1:0)
1:0 ობაიდინი (57)
გაძევება: ბ. ჩობოტარიუ (ზიმბრუ, 41)
8 588 მაყურებელი

ლოკომოტივი (რუსეთი) 1:3 **ბეშიქთაში (თურქეთი)** (0:3)
0:1 ნუმა (28), 1:1 ჩერევჩენკო (51), 1:2 ნიპათი (72), 1:3 ტაიფური (87)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ჩერევჩენკო, დროზდოვი (ეფიმეი 70), ლავრიკი, ნიკიფოროდოვი, ჩუგაინოვი, სარქისიანი, პიმენოვი, ჭანბაშია (ბულიკინი 69), ლოსკოვი, ხარლაჩევი (აზევედო 46)
მწვრთნელი: იური სიომინი
ბეშიქთაში: შორუნმუ, კარპანი (სულუნი 80), ტაიფური, ჰალილაჯიჩი (რაპინი 84), აპმეთი, ნიპათი, მიუნხი, უმითი, ერმანი, იბრაჰიმი, ნუმა (ხლესტოვი 63)
მწვრთნელი: ნეფიო სკალა
მსაჯი: ლუტც ფრიოლიხი (გერმანია)
8 000 მაყურებელი

ფეიენოორდი (ჰოლანდია) 1:1 **შტურმი (ავსტრია)** (1:2)
0:1 რაინმაიერი (56), 1:1 იოკემსენი (87)
35 000 მაყურებელი

პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 2:1 პოლონია (პოლონეთი) (2:2)
1:0 ლიბეროპულოსი (30), 2:0 პფლიპსენი (61ბ), 2:1 ბაკი (86)
გაძევება: კალიანი (პოლონია, 45)
44 312 მაყურებელი

ლიონი (საფრანგეთი) 2:1 ინტერი (სლოვაკეთი) (2:1)
0:1 პინტე (38), 1:1 მარლე (56), 2:1 მალბრანკი (90)
30 000 მაყურებელი

ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 1:1 **დინამო (უკრაინა)** (0:0)
1:0 ბოშკოვიჩი (22), 1:1 ბელკევიჩი (33)
ცრვენა ზვეზდა: კოვაჩი, მარკოვიჩი, ლალატოვიჩი (ანიმოვიჩი 71), ბაიჩეტიჩი, გლოგოვაცი, ბუნიევჩევიჩი, გეოზდენოვიჩი, ლერინეი, დრულიჩი, პიანოვიჩი, ბოშკოვიჩი (ილიჩი 61)
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
დინამო: კერნოზენკო, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, კასლაძე, ბელკევიჩი, შაციხი (დზეტრაძე 75), გუსინი, იაშკინი (მოროზი 80), ნესმაჩნი
მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო (თანაშემწე)
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
53 000 მაყურებელი

მიუნხენ 1860 (გერმანია) 0:1 **ლიდსი (ინგლისი)** (1:2)
0:1 სმიტი (46)
45 000 მაყურებელი

რეინჯერსი (შოტლანდია) 3:0 ჰერფიოლგე (დანია) (3:0)
1:0 უოლესი (48), 2:0 ჯონსტონი (78), 3:0 კანჩელსკისი (89)
36 141 მაყურებელი

რუსენბორგი (ნორვეგია) 2:1 დუნაფერი (უნგრეთი) (2:2)
1:0 ო. ბერგი (4), 1:1 ტოკოლი (17), 2:1 ბელსვიკი (48)
10 000 მაყურებელი

ინტერი (იტალია) 0:0 **ჰელსინგბორგი (შვედეთი)** (0:1)
50 000 მაყურებელი

ვალენსია (ესპანეთი) 4:1 ტიროლი (ავსტრია) (0:0)
1:0 მენდიეტა (22), 2:0 ალონსო (44), 3:0 მენდიეტა (53ბ), 4:0 ალონსო (63), 4:1 გილეკიჩი (69)
50 000 მაყურებელი

პორტუ (პორტუგალია) 0:0 **ანდერლეხტი (ბელგია)** (0:1)
32 000 მაყურებელი

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი. 23 აგვისტო

UEFA CUP

ფლორა (ესტონეთი) 0:2 **ბრიუგე (ბელგია)** (1:4)
0:1 ვერმანტი (24), 0:2 მარტენსი (82)
850 მაყურებელი

REUTERS ლიონიდან

ლიონი — ინტერი (ბრატისლავა) 2:1. მასპინძელთა ბრაზილიელი სონი ანდერსონი სლოვაკმა მარიან ჩისოვსკიმ ფეხებში ჩაგარდნითაც ვერ შეაჩერა

REUTERS ბანჭესტერიდან

სიტი — სანდერლენდი 4:2. სანდერლენდელთა შავ დღეში ჩამგდები, სამი ბურთის გამტანი პაულო ვანჩოპე (მარცხნივ) და ჟორჟ ვეა

ინგლისი

II ტური

ევერტონი 3:0 ჩარლტონი
1:0 ჯეფერსი (54), 2:0, 3:0 ფერგიუსონი (84, 90)
ევერტონი: ფერარი, პისტონე (ამუორეი 38), ვერი, გაფი, ს. უოტსონი, ს. ჰიუზი, გესკონი (მური 78), ბარაჟანი, ნიარკეი, ჭ. ჰიუზი (დ. ფერგიუსონი 67)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ჩარლტონი: კიელი, კიშიშევი, რუფუსი, პაუელი, ტაილერი, რობინსონი (პარკერი 64), კინსელა, ოფსეანი (ნიუტონი 72), სტეუარტი, ჰანტი, ლისბი (ბარბი 40)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: ტაილერი, ჯეფერსი
გაძევება: ტაილერი (36)
მსაჯი: ბერი
36 000 მაყურებელი

სიტი 4:2 სანდერლენდი
1:0 ვანჩოპე (3), 2:0 ჰაალანდი (23), 2:1 ქუინი (64), 2:2 ფილიპსი (67), 3:2, 4:2 ვანჩოპე (78, 89)
სიტი: ვიაკერი, ეფუჯილი, ვიკერსი, ჰაუი, პრაიორი, ტაატო, ჰაალანდი, ჰორლოკი, კენედი, ვეა, ვანჩოპე
მწვრთნელი: ჯო რაილი
სანდერლენდი: მასო, მაკინ, გრეი, ბატლერი, ვარგა (ბოულდი 48), ჰოლოვეი (რუა 46), ტირლფელი (რიდი 86), ჰეთჩისონი, კილბეინი, ფილიპსი, ნ. ქუინი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: პრაიორი, ტირლფელი, ჰეთჩისონი, ჰოლოვეი, ჰაალანდი, ვანჩოპე
მსაჯი: ელერეი
34 410 მაყურებელი

ნიუკასლი 3:2 დერბი
1:0 კორტი (4), 1:1 შტრუპარი (45), 2:1 კორდონე (46), 3:1 გლასი (54), 3:2 ჯონსონი (82)
ნიუკასლი: გიენი, უ. ბარტონი, დომი, დაბიზასი (ბომა 44), ა. ჰიუზი, სოლანო (შარეე 78), დეიერი, სპიდი, კორდონე, შირერი, კორტი (გლასი 31)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
დერბი: ბოიმი, ბლატსისი (მორისი 84), ჰიგინბოთემი, ბრაგსტადი, ს. ელიოტი, ერანიო (სტარიჯი 65), პაუელი, ვალაკარი, ჯონსონი, შტრუპარი, დ. ბარტონი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: ვალაკარი, ჯონსონი, სტარიჯი
გაძევება: უ. ბარტონი (77)
მსაჯი: გალაჰერი
51 327 მაყურებელი

საუთჰემპტონი 1:2 ძოვენთრი
0:1 ბელამი (19ბ), 1:1 ტესემი (51), 1:2 რუსელი (61)
საუთჰემპტონი: ჯოუსი, დოდი, ლუნდეკვამი, ტაბარი, კაჩლული (ბითი 82), დრეიპერი, მარსდენი (ტესემი 46), ოუკ�ლ, ბრიჯერ, როსლერი, დევისი (ბასარსი 23)
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
ძოვენთრი: ჰედმანი, ედვორთი, უილიამსი, ჰალი, შოუ, ოსტინი, ჩიპი, ბალმერი, ბელამი (ზუნიგა 84), ტელფერი, რუსელი
მწვრთნელი: ჯორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: დევისი, ტაბარი, ბელამი, ბალმერი, ლუნდეკვამი, კაჩლული, როსლერი, უილიამსი
მსაჯი: ტეილორი
14 801 მაყურებელი

ვესტ ჰემი 0:1 ლესტერი
0:1 ედი (53)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ს. პირსი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი, მარგასი (ჯ. კოული 60), უინტერბერნი, ლომასი, კარიკი, შუკერი (ჩარლზი 46), კანო (კიტსონი 57), დი კანიო
მწვრთნელი: პარი რედნაპი
ლესტერი: ფლაუერსი, როუეტი, ტაგარტი, ჭ. ელიოტი, იმპი, ლენონი, სვეიჯი, იზეტი, გაბი, ედი (კოტი 81), აკინბი
მწვრთნელი: პიტერ ტეილორი
გაფრთხილება: შტიმაცი, ტაგარტი, იზეტი, ედი, კარიკი, დი კანიო
გაძევება: შტიმაცი (45)
მსაჯი: სტაილსი
25 195 მაყურებელი

ლიგის თასი. I ეტაპი

კოლჩესტერი 0:1 ქუინზ პარკი
კრისტალ პალასი 2:1 კარდიფი
პლიმუთი 1:2 როვერსი

ჰოლანდია

გადადებული მატჩი

გრონინგენი 4:4 ნაიმეგენი
1:0 ჩუროვიჩი (1), 1:1 ბ. ხრისტოვი (5), 2:1 დრენტი (26), 2:2, 2:3 ბ. ხრისტოვი (43ბ, 48ბ), 3:3 დრენტი (61), 4:3 ვან ბესელი (78), 4:4 კოლენი (90)
12 000 მაყურებელი

ბრატისლავის „სლოვანის“ თავკაცი სტანისლავ იარაბეკი თბილისურ სიცხეში თამაშს უფრთხის

თბილისში დუმი. იერუსალიმში სლუპიკი

თბილისურ „ლოკომოტივსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ დღეს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩები ელით. რკინიგზელები „ეროვნულ“ სტადიონზე, მოგეხსენებათ, სლოვაკურ ბრატისლავის „სლოვანს“ მასპინძლობენ, ვიტელები კი იერუსალიმში ებრაულ „ბეითარს“ სტუმრობენ.

„ვიტ ჯორჯიასგან“ განსხვავებით, „ლოკომოტივს“ შემდეგ ეტაპზე გასვლის მცირე შანსი კიდევ შერჩენია. რევაზ ძოძუაშვილის გუნდი ბრატისლავაში, გეხსომებათ, 0:2 დამარცხდა და დღეს სლოვაკეთში გაშვებული ორი გოლის გაქვითვას შეეცდება. ორრაუნდიანი ორთაბრძოლის ბედი რომ მნიშვნელოვანწილად მსაჯთა მოქმედებაზეა დამოკიდებული, თქმა არ უნდა. უეფამაც თბილისური მატჩის ობიექტურად განსასჯელად საქართველოში ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა მოავლინა. არბიტრი სტეფან დუი, თანამსაჯები — გრენ ეტკინსი, ჯი ბეილი და მეოთხე მსაჯი პიტერ უმილტონი თბილისს თამაშამდე ორი დღით ადრე, სამშაბათს ეწვივნენ. დღევანდელ შეხვედრაში დელეგატის მისიას ლუქსემბურგელი პიტერ სმიკოლი შეასრულებს.

ბარემ აქვე „ბეითარი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მსაჯებზეც ვთქვათ. ამ საღამოს იერუსალიმში პოლონელი კშიშტოფ სლუპიკი დაუსტვენს, რომელსაც თანამემამულეები — იაცეკ კორციგელი, ტომაშ რუცეკი და ტომაშ მიკულსკი დაეხმარებიან.

თბილისში თამაში 19 საათზე დაიწყება, იერუსალიმში კი 22.45 საათზე.

ვანო ოძროპირიძე

საქართველო ფრაიბურგში

ფრაიბურგის ქართული ტრიო ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ემთამაშება

4 სექტემბერს ყაზახეთ — საქართველოს ამხანაგური მატჩი აღარ გაიმართება. საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებმა აზიელებთან თამაში გადაიფიქრეს და უკეთეს მეტოქესთან გაჯიბრება გადაწყვიტეს — 1 სექტემბერს ეროვნული გუნდი გერმანიის პირველი ბუნდესლიგის კლუბ „ფრაიბურგს“ დაუპირისპირდება.

საამმატჩოდ რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი უძლიერესი შემადგენლობის გამოძახებას აპირებენ, თუმცა უკვე ცნობილია, რომ „ფრაიბურგის“ წინააღმდეგ ინგლისური „დერბის“ ტრავმირებული ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე და „ვულვერჰემპტონის“ თემურ ქეცბაია ვერ ითამაშებენ. ქეცბაიას შესაძლებლობები მწვრთნელებმა შესანიშნავად იციან და მის კიდევ ერთხელ გამოცდას აზრი არა აქვსო, ამბობენ.

ფრაიბურგელი ქართველები — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი კი მწვრთნელთა შორის შეთანხმებით ერთ ტაიმს ნაკრების შემადგენლობაში ითამაშებენ, მეორეს — „ფრაიბურგში.“

ეროვნული გუნდი გერმანიას 30 აგვისტოს ესტუმრება და შესაძლოა მატჩის დღესაც ივარჯიშოს. ფრაიბურგში ნაკრებს შეკრებასავით გამოუვა, რადგანაც არც თამაშის მეორე დღეს დაისვენებს და 3 სექტემბერსაც ფეხბურთელები ვარჯიშის შემდეგ დატოვებენ ფრაიბურგს, მწვრთნელები კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეტოქეების, რუმინეთ — ლიტვისა და უნგრეთ — იტალიის მატჩებს დაესწრებიან.

ძოგბა ინასარიძე

ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

ლოკომოტივი — სლოვანი

24 აგვისტო. 19 საათი. თბილისი. ეროვნული. ტევადობა 70 900

ლოკომოტივი ჰენალტეზისთვის ემზადება

თბილისის „ლოკომოტივი“ ბრატისლავის „სლოვანთან“ სადღეისო მატჩისთვის შესაძლოა ერთი ფეხბურთელით გაძლიერდეს. საქმე ის გახლავთ, რომ თავად რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძის თხოვნით, იტალიიდან დღეს, გამთენიისას, „ლეჩეში“ მოვარჯიშე ზურაბ ხიზანიშვილი სპეციალურად „სლოვანის“ წინააღმდეგ სათამაშოდ უნდა ჩამოფრენილიყო.

ხიზანიშვილი, ალბათ მოგეხსენებათ, დაახლოებით ათი დღის წინ გაემგზავრა იტალიაში, თავისსავე თქმით, „ლეჩეში“ სათამაშოდ. ისე, გააგრძელებს თუ არა ზურა კარიერას სერია A-ში, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია და ამას თბილისში ჩამოსული ფეხბურთელისგან, იმედია, უფრო უკეთ შევიტყობთ.

თბილისის „ლოკომოტივმა“ კი „სლოვანთან“ მატჩამდე გუშინ დაახლოებით 45 წუთს ივარჯიშა და მერე კარგა ხანი თერთმეტმეტრიანებსაც მოანდომა, ვინ იცის, ეგებ ბრატისლაველებთან გასამარჯვებლად გამოადგეთ. საქმის პენალტებამდე მისაყვანად კი „ლოკომოტივმა“ 2:0 უნდა მოიგოს და თუ 3:0 იქნება, ეს მთლად უკეთესი, პენალტები უკან დარჩება. საამისოდ რევაზ ძოძუაშვილი და მისი გუნდი მეტოქეს დიდი ძალებით შეუტევს — „ლოკომოტივის“ ტაქტიკური სქემა ალბათ 4-3-3 იქნება. ძოძუაშვილი ბრატისლაველთაგან ყველაზე მეტად თავდამსხმელ ლუბომირ მესაროშს უფრთხის და მის წინააღმდეგ ბიჭებს გაორმაგებული ყურადღებით თამაშს სთხოვს. მწვრთნელისვე თქმით, „სლოვანს“ განსაკუთრებით ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავს, ისინი თავდამსხმელებს გამოზომილი, გონივრული პასებით ამარაგებენ.

თავად „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და მეტოქის დამარცხების დიდი იმედი აქვთ. ლაპარაკი ლაპარაკად, მაგრამ რკინიგზელებმა ყოველივე საქმით უნდა დაამტკიცონ.

„სლოვანმა“ კი გუშინ დაახლოებით ერთი საათი ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშა. რევაზ ძოძუაშვილიც ტრიბუნაზე მოკალათებულიყო და მეტოქეს უცქერდა, თან რაღაც-რაღაცეებიც ჩაინიშნა.

სლოვაკთა შემადგენლობა დღეს საკარაუდოდ ასეთი იქნება: ბერნადი; პეკკო, ტიმკო, ჰრნჩარი; ბალიბი, კოზმერი, მეოგე, სედლაკი, ეჟიკი, იანჩულა, მესაროში.

დღევანდელ მატჩს ინგლისელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება.

ძოგბა ინასარიძე

უეფას თასი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი.

ბეითარი — ვიტ ჯორჯია

24 აგვისტო. 22.45 საათი. იერუსალიმი. „ტედი“. ტევადობა 21 000

ხაჩიძე ხუმრობს?

მიხაილ იოხიმი იერუსალიმიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

გუშინ თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე „ბეითარის“ ფეხბურთელები ვარჯიშს რომ მორჩნენ, ერთი კეთილი საქმე გააკეთეს — „ვიტ ჯორჯიასთან“ დღევანდელი მატჩის 400 ბილეთი აჩუქეს ებრაელ ჯარისკაცებს და მათ მიმართ მადლიერება ასე გამოხატეს.

ჯარისკაცებიც დაპირდნენ ფეხბურთელებს, მთელი თამაში არ გავჩერდებით, გიქომაგებთ და გვასახელეთო.

ძნელი სათქმელია, ამ 400 ახალგაზრდის გარდა იერუსალიმის გარეუბან მალხაში 21-ათასიან „ტედის“ სტადიონზე „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩს კიდევ რამდენი ქომაგი დაესწრება. ხალხი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენს და ეს გასაგებიცაა, „ბეითარს“ საქმე უკვე მოთავებული აქვს, თუმცა...

ვერ გეტყვით, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა ვლადიმერ ხაჩიძემ იხუმრა თუ სერიოზულად თქვა, მაგრამ ფაქტია, 4:0 უნდა მოვიგოთო. თან დაამატა, თბილისში კარგად ვივარჯიშეთ და ამას თამაშისას დავამტკიცებთო.

სტუმართა კაპიტანი გიორგი ყიფიანი კი უფრო თავდაჭერილი იყო: პირველ მატჩში საშინელი წაგების შემდეგ „ვიტ ჯორჯიამ“ აქაურ ქომაგებს არ უნდა აფიქრებინოს, ქართველებმა ფეხბურთის თამაში არ იციანო.

ყიფიანისა კარგად მესმის, აი, ხაჩიძისა კი, ვთქვი, ვერაფერი გავიგე, ჩანს, ის დიდი ოპტიმისტია და იქნებ სასწაულისა მართლაც სჯერა.

„ბეითარის“ მწვრთნელმა ელი გუტმანმა კი გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მიუხედავად თბილისში დიდი ანგარიშით მოგებისა, ჩვენ შინაც უნდა გავიმარჯვოთ — მეტოქე ისრაელში ექსკურსიაზე არ ჩამოსულა, ის მთელი ძალით ითამაშებს, მაგრამ ეს ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, „ბეითარმა“ უნდა მოიგოსო.

დღეს „ბეითარს“ უძლიერესი ფეხბურთელიც დაემატება, იოსი აბუკასმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა და გუტმანმა ისიც თქვა, რომ მას სივილიას ნაცვლად ათამაშებს. თბილისური შემადგენლობისგან განსხვავებაც მასპინძელთა გუნდში ალბათ მხოლოდ ეს იქნება. „ვიტ ჯორჯიაზე“ კი ვერაფერს გეტყვით.

ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ისრაელის პირველი არხი გადასცემს.

ნორჩი დინამოელი: შანსი სასამართლოა

საფეხბურთო სკოლა „ნორჩ დინამოელს“ ჩვენში საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს, შორს წაგვიყვანს იმ სახელების ჩამოთვლა, რომელიც ამ სკოლამ აღუზარდა ქართულ ფეხბურთს. „ნორჩი დინამოელი“ წლეულს 50 წლის გახდება. საიუბილეო დღეებში კი სკოლის ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, საკმაოდ მწვავე პრობლემის წინაშე დგას. უკვე ერთ წელზე მეტია, „ნორჩ დინამოელსა“ და „ირაოს“ (ესეც საფეხბურთო სკოლაა) შორის გაუთავებელი დავა მიმდინარეობს „ეროვნული“ სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე ხელოვნურსაფარიან მოედანზე. ეს მოედანი წლების განმავლობაში „ნორჩი დინამოელის“ იყო, რადგან თავად ეს სკოლა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ კუთვნილებას წარმოადგენდა. დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ტალღის აგორების შემდეგ სკოლა „დინამოს“ გამოეყო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად ჩამოყალიბდა. ხელოვნურსაფარიანი მოედანი, ბუნებრივია, „დინამოს“ მფლობელობაში დარჩა, მაგრამ „ნორჩი დინამოელი“ ამ მოედნის იჯარის სანაცვლოდ თანხას იხდიდა და სკოლის აღსაზრდელებიც ძირითადად იქ გადიოდნენ წვრთნას.

გუშინ რედაქციაში „ნორჩი დინამოელის“ ერთ-ერთი მწვრთნელი ფირუზ კანთელაძე გვეწვია. წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა სკოლის სახელით „სარბიელს“ თავისი პოზიციის დაფიქსირება სთხოვა, თუმც მოგვიანებით ეს მისია სკოლის დირექტორს, ოთარ გეგეჭკორს გადაულოცა. მანაც წვრილად ისაუბრა „ნორჩი დინამოელის“ დღეისათვის ყველაზე აქტუალურ პრობლემაზე:

— ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საფეხბურთო სკოლა „ირაოს“ ხელმძღვანელებმა აღმაშფოთებელი ნაბიჯი გადადგეს და ჩვენს მოედანზე უნებართვოდ შეიჭრნენ. საერთოდ არ ვიყავით საქმის კურსში, ეს ისე გააკეთეს. მერე გავიგეთ, რომ ისინი მოედნის რეკონსტრუქციას აპირებდნენ და ჩვენს დასამშვიდებლად შემოგვთავაზეს, რომ ორ თვეში მოაწესრიგებდნენ სტადიონს და მასზე საკვირაოშოდ დღეში 4 საათს გამოგვიყოფდნენ. სწორედ ამ წინადადებით გაგვაჩუმეს, მაგრამ აგერ უკვე ერთ წელზე მეტი გავიდა და სტადიონზე ჯერაც არაფერი გაკეთებულა. ირაოელებმა იქ მხოლოდ ხრეში შეიტანეს. ვეჭვობ, მათ მოედნის დაპატრონება კომერციული თვალსაზრისით მოისურვეს, თორემ ფეხბურთის საკეთილდღეოდ სრულიად არაფერი გაუკეთებიათ. ჩვენ კი სერიოზულად დავზარალდით, ელემენტარულად მოედები არ გვყოფნის ნორჩების სავარჯიშოდ, „ეროვნულ“ სტადიონზე განთავსებული სავარჯიშო ადგილი კი ამდენი ხნის მანძილზე უქმად გაცდა. არადა, ჩვენ ჩვენი შესაძლებლობებით იმ მოედანს ორ-სამ თვეში წესრიგშიც მოვიყვანდით და საქმეც წინ წავიდოდა.

— „ირაოს“ თუ აქვს რაიმე დოკუმენტი, ასე ხელაღებით ხომ არ მიითვისებდნენ ამხელა ტერიტორიას.

— მათ ჩვენთვის არანაირი დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ, ან კი ვის უნდა მიეცა მათთვის საბუთი. როგორც თვითონ ამბობენ, აქვთ 15 პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი საბუთი, მაგრამ დღემდე ისიც არ გვინახავს.

— ფედერაციის ხელმძღვანელებს თუ მიმართეთ დასახმარებლად?

— როგორ არა... პრობლემა რომ გაჩნდა, „ნორჩი დინამოელის“ 12 მწვრთნელთან ერთად მივედი სფფ-ის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან. მოგვისმინა და გვითხრა, ნურაფერს ნაღვლობთ, დაიწყეთ მოედნის მოწესრიგება და მეც ფინანსურად გვერდში დაგიდგებითო. საუბარი იყო 50 ათას ლარზე. ამ სიტყვებით გამოგვიშვა ჟორდანიამ, მაგრამ დღემდე ეს თანხა თვალით არ გვინახავს, მით უფრო, სადავო მოედანს ახლოს არავინ გვაკარებს. ჟორდანიამ მწარედ მოგვატყუა და მალე საპირისპირო პოზიციაც დაიჭირა.

— „ირაოს“ ხელმძღვანელებთან თუ სცადეთ საერთო ენის გამონახვა?

— რამდენჯერმე ვთხოვეთ მათ შეხვედრა, მაგრამ უარი გვითხრეს, საოთოფეზე არ გვიკარებენ, ჩვენზე კი ათას სიბინძურეს ამბობენ. ამას წინათ ლაჩრებიც კი გვიწოდეს, ასეთ შეურაცხყოფას არავის ვაპატიებთ. „ნორჩ დინამოელში“ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, დამსახურებული მწვრთნელები, ღირსეული პიროვნებები მუშაობენ და ისინი დილეტანტების საქილიკო ნამდვილად არ არიან.

— აღნიშნული მოედანი „ეროვნული“ სტადიონის ტერიტორიაზე მდებარეობს. ბუნებრივია, სტადიონის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე გივი მაზიაშვილსაც შეხვდებოდით...

— მაზიაშვილმა მითხრა, რომ „ირაომ“ მოედნის რეკონსტრუქციის უკეთესი პროექტი წარადგინა და ამიტომაც დართეს სარემონტო სამუშაოების უფლება. კი მაგრამ, ჩვენ, როგორც

ბადრი კვინტალიანის ფოტო

ოთარ გეგეჭკორი

ამდენი წლის მოიჯარადეს, არ გვქონდა პირველი ხმის უფლება? ენახათ მაინც, ეგებ ჩვენი პროექტი უფრო მისაღები იყო. თანაც მაქვს ინფორმაცია, რომ „ირაოს“ აღნიშნული მოედნის იჯარის სანაცვლოდ ერთი თეთრიც კი არ გადაუხდია, ჩვენ კი დაუგვიანებლად ვიხდიდით საიჯარო თანხას, უპირატესობას კი მაინც მათ ანიჭებენ, ესე იგი გამოდის, რომ ამ მოედანთან დაკავშირებით უდიდესი ფინანსური მოსაზრებებია ჩადებული და „ირაოსაც“ ზურგს უმაგრებენ.

სასაცილოა ირაოელთა პოზიცია, აცხადებენ რომ ამ ადგილზე გარაჟების მშენებლობას არ აპირებენ და ბავშვების მომზადება სურთ. კი მაგრამ, ჩვენც იგივეს არ ვაკეთებდით? იქნებ „ირაოს“ „ნორჩ დინამოელზე“ უკეთ ეხერხება საქმის კეთება? ვეჭვობ, რომ ასე იყოს, მაშინ ასე უქმად არ გაცდებოდა ეს მოედანი. ჩვენ კი რაც შეგვიძლია, პირნათლად ვაკეთებთ. სულ მალე საფეხბურთო სკოლაში მინი-ფეხბურთის დარბაზი გაშენდება, ამას წინათ დავასრულეთ ბალახისსაფარიანი მოედნის გაწყობა, რაც ერთობ ძვირი დაჯდა და საგანგებოდ ლაგოდეხიდან ჩამოვიტანეთ. თანაც მას განსაკუთრებული მოფრთხილება სჭირდება და ყოველდღიური ვარჯიშისთვის ვერ გამოვიყენებთ. ამიტომაც „ეროვნული“ სტადიონის ტერიტორიაზე მდებარე ხელოვნურსაფარიანი მოედანი ჰაერივით გვჭირდება, ის კი უქმად ცდება.

— ამბობთ, რომ ფედერაციამ გიგანათ და თქვენს პოზიციას სტადიონის საკოორდინაციო საბჭოც არ იზიარებს, ასეთ შემთხვევაში წარმატების მინიმალური შანსი გრჩებათ. რას აპირებთ?

— ალბათ სასამართლოს მივმართავთ, მეტი გზა არც დაგვრჩენია, ჩვენს სიმართლეს იქ მაინც დავამტკიცებთ.

ბადრი კვინტალიანის ფოტო

„ნორჩი დინამოელის“ მოედანზე ახალი უკვე ლაგოდეხური მწვანე მინდორი ბიბინებს

ლაშა ჯაკობია თანატოლებთან ვერ ითამაშებს

უილბლოდ დაიწყო ბელგიის ჩემპიონატი ეენდრახტის „აალსტის“ და მისი ქართველი ლეგიონერის ლაშა ჯაკობიასთვის.

ჩემპიონატის სტარტზე „აალსტი“ პირველ ორ ტურში დამარცხდა, ჯაკობიამ კი ტრავმის გამო ახალი გუნდის შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა.

ჯაკობია ათი დღეა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ექიმები თამაშის ნებას ჯერჯერობით არ აძლევენ. როგორც იცით, ქართველ თავდამსხმელს ამას წინათ კომპიუტერული გამოკვლევების შედეგად ტერფის ტრავმა დაუდგინეს და ამ მიზეზით ლაშა ბელგიის ჩემპიონატის მომდევნო ორ ტურსაც გამოტოვებს.

ტრავმის წყალობით ჯაკობია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვერ დაეხმარება. ხურცილავას გუნდს 31 აგვისტოს საკონტროლო მატჩი ელის ინგლისში, იქაურ ახალგაზრდულ ნაკრებთან.

— საქართველოდან გამოძახების ფურცელი მივიღე და გული დამწყდა. იძულებული ვარ, მურთაზ ხურცილავას უარი შევუთვალო, დღევანდელ სიტუაციაში ჩემი თამაში პრაქტიკულად გამორიცხულია. საქმის კურსში „აალსტის“ ხელმძღვანელობაც ჩავაყენე და ალბათ ისინი შესაბამის ფაქსსაც გამოაგზავნიან თბილისში — გვითხრა გუშინ სატელეფონო საუბრისას ჯაკობიამ.

ეს ფაქტი მურთაზ ხურცილავას უეჭველად გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის ინგლისთან მატჩში, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ხურცილავას ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ნაკრები დღემდე აგრძელებს დაუმარცხებელი მატჩების სერიას.

ბაატა ძვანტალიანი

უილკინსონმა იცის, ხურცილავამ — არა

ბადრი კვინტალიანის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი მურთაზ ხურცილავა

ძნელი სათქმელია, რა მოსაზრებით ირჩიეს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელებმა სპარინგ-პარტნიორად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები. ეს მატჩი რომ ხურცილავას გუნდს მზადების თვალსაზრისით კარგ სამსახურს გაუწევს, ფაქტია, აი, ინგლისელებს რამდენად წაადგება კარს მომდგარი შესარჩევი ციკლისთვის (ოქტომბერში ალბიონელები გერმანელებს და ფინეთის ახალგაზრდულ ნაკრებებს დაუპირისპირდებიან), ამაზე ვერაფერს გეტყვით. თუმცრა, კაცია და გუნებაო, ხომ გსმენიათ და 31 აგვისტოს ინგლისის ახალგაზრდული საქართველოს უმასპინძლებს.

ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, სფფ-ში საინგლისოდ გამზადებული ნაკრების შემადგენლობის გაგებას შევეცადეთ, მაგრამ ამაოდ. ფედერაციაში ნაკრების მწვრთნელებს ჯერაც არ წარუდგენიათ ნაკრების საბოლოო განაცხადი.

სანამ ქართველები გუნდის შემადგენლობას ადგენენ, მათმა მეტოქემ უკვე წარმოადგინა საამმატჩო განაცხადი. ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა ჰოვარდ უილკინსონმა ქართველებთან სათამაშოდ 22 ფეხბურთელს უხმო:

მეკარეები: ჰოლ რობინსონი (ლიდსი), ნიკ ვიაკერი (მანჩესტერ სიტი);

მცველები: ვეს ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (არსენალი), ედი ნიუტონი (ვესტ ჰემი), დევიდ პრატონი (ნოტინგემ ფორესტი), რობერტ სტოკდეილი (მიდლსბრო), ჯონ ტერი (ჩელსი), სტივენ ჩედვიკი (მანჩესტერ იუნაიტედი);

ნახევარმცველები: ტიტუს ბრემბლი (იფსვიჩ თაუნი), ჰოლ კარიკი (ვესტ ჰემი), ჯო კოული (ვესტ ჰემი), სკოტ პარკერი (ჩარლტონი), ჰოლ ტირლველი (სანდერლენდი), ლუკ იანგი (ტოტენჰემ ჰოთსპური), სტივენ დანი (ბლეკბერნი);

თავდამსხმელები: ენდი კოლი (მიდლსბრო), ფრენსის ჯეფერსი (ევერტონი), სტივენ ნეილორი (ვულვერჰემპტონი), ალან სმიტი (ლიდსი), სტივენ სმიტი (უოტფორდი), დარიუს ვასელი (ასტონ ვილა).

სწორედ ამათგან აარჩევს უილკინსონი სასტარტო შემადგენლობის თერმეტ ფეხბურთელს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ინგლისის ახალგაზრდულმა ნაკრებმა სამი წამყვანი ფეხბურთელი მოისაკლისა. ლამპარდი (ვესტ ჰემი), ლი ბოიერი (ლიდსი) და ინგლისის ნაკრების მესამე მეკარე იფსვიჩელი რიჩარდ რაიტი ქართველებს ვერ დაუპირისპირდებიან.

ჰოვარდ უილკინსონს ნაკრების გადახალისებისკენ აუღია გეზი და ამის გამო ინგლისელთა ოცდაორკაციან განაცხადში ათი ახალწვეულია.

ქართველებთან მატჩის წინ თავად უილკინსონი იმედიანადაა განწყობილი, ახალბედებს გამოცდილებს შევუწყვილებ და კარს მომდგარ შესარჩევ ციკლისთვის მებრძოლ გუნდს დავაყენებო. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, მურთაზ ხურცილავას მიზანიც ეს არის და ვის როგორ გამოუვა, ამას დრო გვიჩვენებს.

ბაატა ძვანტალიანი

ჯანაშიას გოლი შია

სიომინი ქართველის არასტაბილურობას უჩივის

ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემამ საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, ზაზა ჯანაშიაც შეაწუხა. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდმა ტრავმა ავერ უკვე თვენახევარია მოიშუშა, თუმც ფორმაში ჯერაც ვერ შესულა.

„თავდამსხმელის მთავარი მოვალეობა გოლების გატანაა. მართალია, ჯანაშია მატჩების გარკვეულ მონაკვეთებში ჩინებულად გამოიყურება, მაგრამ ეს არ კმარა. ზაზას სტაბილურობა აკლია. ფორვარდი ისეთ მომენტებს არ უნდა კარგავდეს, როგორიც მან ბოლო ტურში მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრის მე-8 წუთზე გაუშვა ხელიდან. იმ მომენტის გამოუყენებლობამ ძალიან გვაზარალა, ზაზას რომ გაეტანა, მატჩის სცენარი ძირეულად შეიცვლებოდა. ანალოგიური სიტუაცია იყო სტამბოლშიც. თურქეთში მან პირველი ტაიმი ძალიან კარგად ჩაატარა, შესვენების შემდეგ კი მისი აქტიურობა სადღაც გაქრა, მეც იძულებული გავხდი, შემეცვალა. როგორ შეიძლება, ფორვარდის დამაკმაყოფილებელ თამაშზე ისაუბრო, როცა მას ისეთი პრობლემა აწუხებს, როგორიც მომენტების რეალიზაციაა“ — ასეთი შეფასება მისცა „სპორტ ეკსპრესთან“ საუბარში ქართველი ფეხბურთელის თამაშს „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა.

მართალია სიომინი, ბოლო დროს ჯანაშია მართლაც ვეღარ გამოიყურება ჩვეულად. მიმდინარე სეზონში მან მაღალ დონეზე მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა. 16 ივლისს რუსეთის ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩში „ლოკომოტივი“ „სპარტაკს“ დაუპირისპირდა და ჯანაშიას ბრწყინვალე თამაშის წყალობით 3:2 დაამარცხა. მაშინ რკინიგზელთა თავკაცობას იმედი მიეცა, ეგაა, ჯანაშია ფორმაში შევიდაო, თუმც ზაზას საქმეები შემდგომში ვეღარ აეწყო. გოლიც მას მერე აღარ გაუტანია. სიომინიც ბოლო დროს იძულებულია, ქართველი ფეხბურთელი ან გამოცვალოს, ანაც შეცვლებზე ათამაშოს.

როდესაც რუსი ჟურნალისტები „ლოკომოტივის“ მწვრთნელს „ბეშიქთაშთან“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის სპასუხო მატჩში ჯანაშიას ძირითად შემადგენლობაში დაყენებაზე დაეკითხნენ, სიომინმა, გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღიაო, უპასუხა.

ცნობილია, რომ „ლოკომოტივში“ ამჟამად პირველ თავდამსხმელად პიმენოვი ითვლება, „ბეშიქთაშთან“ გუშინდელ მატჩშიც მას ადგილი გარანტირებული ჰქონდა, აი, მეორე თავდამსხმელად კი სიომინს ორი კანდიდატურა ჰყავდა ჯანაშია და ფრანგი ახალწვეული აზევედუ. რუსული პრესის ცნობით, იმის გამო, რომ აზევედუს



ზაზა ჯანაშია

ახალ პარტნიორებთან შეთამაშება აკლია, სიომინი თურქების წინააღმდეგ ძირითადში ისევ ფორმიდან ამოვარდნილ ქართველს დააყენებდა.

ასეც მოხდა, ზაზა ჯანაშიამ სასტარტო შემადგენლობაში 69 წუთი დაჰყო, გატანა ვერ მოახერხა, მერე კი იური სიომინმა ბულიკინით შეცვალა. „ლოკომოტივმა“ 1:3 წააგო და ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას საბოლოოდ დაემშვიდობა. ზაზა ჯანაშიას კი ევროპაში თავის გამოჩენის შანსი ალბათ კიდევ ექნება, „ლოკომოტივი“ უეფას თასზე გააგრძელებს თამაშს.

განო ოგრობირიძე

საბჭომ საქმე დაამთავრა

თბილისის „დინამოს“ პრობლემების მოსაგვარებლად შექმნილმა ოთხკაციანმა საკოორდინაციო საბჭომ თავის საქმე მოამთავრა, კრიზისის დაძლევის რამდენიმე ვარიანტი მოიფიქრა, საჭირო დოკუმენტაცია აკინძა და ახლა შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძესთან, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანთან და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიასთან შეხვედრას ელის.

გუშინ ასათიანი და ჟორდანია მზად იყვნენ, საკოორდინაციო საბჭოს ანგარიში მოესმინათ, მაგრამ თარგამაძემ ვერ მოიცალა, ყოველ შემთხვევაში, საღამომდე ასე იყო.

საკოორდინაციო საბჭომ, რომლის წევრებიც არიან ეროვნული სტადიონის დირექტორი ნუკრი კაკილაშვილი, სპორტის დეპარტამენტის ფედერაციებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი მერაბ მეტრეველი, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის მოადგილე რობინზონ თუშურაშვილი და ფედერაციის გენერალური მდივანი, საბჭოს თავმჯდომარე ვალერი ჩოლარია, დეტალურად შეისწავლა „დინამოში“ არსებული პრობლემები და ახლა „დინამოს“ მომავალი ზემოხსენებული სამეულის გადასაწყვეტია.

საბჭოს წევრები ამბობენ, „დინამოს“ უწინდელი დამფუძნებლებიდან ორმა — შპს „ბერშუხამ“ და „დინამოს“ საბჭომ ერთმანეთში თითქმის ყველაფერი გაარკვიეს და კლუბის დამფუძნებლებად კვლავაც ისინი დარჩებიანო, თუმცა მათ თურმე მთავარზე არ მოულაპარაკებიათ — წილზე. ეს საკითხი კი კახა თარგამაძესთან შეხვედრისას უნდა გადაწყდეს, თუ არადა, მაშინ „დინამოს“ საშველად ერთი ვარიანტიცაა — ტენდერის წესით კლუბი გაიყიდება. საკოორდინაციო საბჭომ ტენდერის მოწყობისთვის საჭირო წერილი ქონების მართვის სამინისტროს უკვე გაუგზავნა. არის მესამე გზაც, რომ „დინამომ“ იარსებოს. კლუბს უპროცენტო კრედიტი უნდა გამოეყოს და ადრე თუ გვიან, ვისიც „დინამო“ იქნება, ვალიც მან გადაიხადოს.

ერთი სიტყვით, საკოორდინაციო საბჭომ მუშაობა დაამთავრა და ამ საბჭოს შექმნის იდეა ვისაც ეკუთვნის, მათთან შეხვედრის შემდეგ ალბათ საბოლოოდ გაირკვევა, ვის დარჩება „დინამო“.

კოტა ინასარიძე

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეშიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის ეფექტიანობა შედეგის განსაზღვრა შეფასდ კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56; 8 99 10 71 09

ჯერლი Perla

ᲞᲔᲠᲚᲐ

ჯერლი Perla

მარგალიტების მაღაზია



ᲙᲝᲡᲢᲐᲕᲐᲡ 47

რეალში განხეთქილებაა

საიდუმლო დოსიე საიდუმლო აღარაა

ხოსე მარტინეს პირი მადრიდის „რეალის“ გენერალური დირექტორია. საზოგადოდ კლუბების დირექტორები შეუმჩნეველი ხალხია. პრეზიდენტებს, მწვრთნელებს და ფეხბურთელებს ვიცნობთ, მათ კი — არა.

ახლა კი „რეალის“ გენერალური დირექტორის სახელმა ჩვენამდეც მოაღწია, რადგან ის ახალი სკანდალის შუაგულში აღმოჩნდა. უფრო სწორად, თითოეულ რეალელ ფეხბურთელზე საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს და კლუბის პრეზიდენტს რეკომენდაციებს აძლევს, ვინ უნდა გაიყიდოს და ვინ არა. აღსანიშნავია, რომ წესით ეს დოსიე გამოქვეყნებას არ ექვემდებარებოდა.

ვიღაცამ საიდუმლო გაამხილა. ამის თაობაზე —„სარბიელი“ გუშინაც წერდა. დოსიეს შინაარსი ასეთია: ხოსე მარტინეს პირი დაუშვებლად მიიჩნევდა სტივ მაკმანამანისა და ფერნანდო რედონდოს გაყიდვას. სამაგიეროდ, საჭიროდ თვლიდა ალბანო ბიზარის, კრისტიან კარამბუს, ალბერტ სელადესის, ხოსე მარია გუტიერესისა და აიტორ კარანკას გაშვებას. პირისეულ „შავ სიაში“ მოულოდნელად ფერნანდო მორიენტესიც მოხვდა.

დირექტორი მასზე წერდა, რომ მორიენტესი უდავოდ სასარგებლო ფეხბურთელია, მაგრამ მაკმანამანისა და რედონდოს მსგასად შეუცვლელი არაა. ნიკოლა ანელკაზე კი დოსიეში წერია, რომ რაც უფრო სწრაფად მოიშორებენ თავიდან, მით უკეთესი იქნება.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევები გაითვალისწინეს კლუბის პრეზიდენტმა და მწვრთნელმა, უკვე ვიცით. რედონდო, კარამბუ და ანელკა გაყიდეს, მაკმანამანზე კი ურთიერგამომრიცხავი ცნობები მოდის.

ახლა თავად სკანდალზე. პირის დოსიეთი ყველაზე ნაწყენი ხოსე მარია გუტიერესი, იგივე გუტი, დარჩა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა. დირექტორი მასზე წერს, რომ გუტი თავის მოვალეობებს არაკეთილსინდისიერად ეკიდება და საერთოდაც არ არის მისაბაძი პიროვნება, როგორც ფეხბურთში, ასევე პირად ცხოვრებაში. „ვინ არის პირი, ჩემს ცხოვრებაში რომ ერევა — აღშფოთებულა გუტი — დავიწყოთ იმით, რომ მან საერთოდ არ იცის სტადიონს გარეთ რას ვაკეთებ და როგორ ვცხოვრობ. თუნდაც ჩემი ცხოვრების სტილი უვარგისი იყოს, პირს რა ესაქმება“.



ხოსე მარია გუტი

გუტის მხარს უბამს ალბერტ სელადესი, პირისგან კიდევ ერთი მოძულებული ფეხბურთელი: „მაინტერესებს, ახლა, როცა მისი ბინძური ნათითხნი გამოაშკარავდა, რატომ არის შეშფოთებული და თვალს რატომ გვარიდებს?

თუ მართალია, რაღა აწუხებს? საქმე ისაა, რომ პირის ეგონა, მისი ნააზრევი ჩვენამდე ვერ მოაღწევდა და ასე გაბედულად ამიტომაც გვლანძღავდა“. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს ვისენტე დელ ბოსკე სელადესს სულ უფრო და უფრო ხშირად ათამაშებს. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით „რეალის“ კაპიტან ფერნანდო იეროს რაღაც შუალედური პოზიცია აქვს. ის ამბობს: „პირიმ უბრალოდ თავისი საქმე გააკეთა. ამ დოსიეს გამოქვეყნება საჭირო არ იყო“.

მაინც ვინ გადასცა დოსიეს ასლი გაზეთ „ასს“? ხოსე პირი დარწმუნებულია და მის აზრს ბევრი იზიარებს, რომ ეს ლორენსო სანსის ნახელავია. „ამ გზით „რეალის“ ყოფილმა პრეზიდენტმა კლუბში შუღლი ჩამოაგდო“ — ამბობს პირი, რომლის საქმეც ვერ არის კარგად. ამბობენ, ფლორენტინო პერესი მას სულ მალე გადააყენებს და კლუბის გენერალური დირექტორის სავარძელში ძველ რეალელ ხორხე ვალდანოს ჩასვამსო.

გიორგი დარჯანია

ფეხბურთის რუკაზე

საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების წევრ კრისტიან ბასილას „რენი“ ალბათ „ვესტ ჰემში“ გაანთხოვრებს. ლონდონურმა კლუბმა ფეხბურთელის ყიდვა მოისურვა, თუმცა „რენი“ ამაზე არ დათანხმდა და ამჯობინა, ბასილასი სეზონის ბოლომდე პრემიერლიგაში გაუშვას. კლუბის ხელმძღვანელები იუწყებიან, რომ ფრანგი უახლოეს მომავალში ჩავა ლონდონში და ახალ კლუბთან ერთად ვარჯიშს დაიწყებს. იგი „ვესტ ჰემში“ თავის თანამემამულე ფრედერიკ კანოსთან ერთად ითამაშებს, რომელიც ლონდონურ კლუბს ორი სეზონის წინ „ლიონიდან“ შეუერთდა.

იუგოსლავიელმა სლავიშა იოკანოვიჩმა „დეპორტივოში“ დარჩენა კიდევ ერთი წლით არჩია. ამბობდნენ, რომ 32 წლის ნახევარმცველი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 55 შეხვედრა ჩაუტარებია, „დეპორტივოდან“ წასვლას აპირებსო. მას სხვადასხვა კლუბი იწვევდა. „ვგონებ, არ შევმცდარვარ, „დეპორტივოში“ რომ დავრჩი. მსურს, გუნდში წარმატებებს მივაღწიო“ — განაცხადა იუგოსლავიელმა, რომელმაც წინა სეზონში ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. იგი გალისიურ კლუბში ზარშან ჩაირიცხა და ჩემპიონატში 22 შეხვედრა ჩაატარა.

ნიგერიელი ფორვარდი ჯორჯ ფინიდი უახლოეს დღეებში ალბათ „მალიორკასთან“ გააფორმებს კონტრაქტს. ესპანური სააგენტოების ცნობით, „ბეტისი“ სანაცვლოდ 4,5 მილიონ დოლარს მიიღებს. მას შემდეგ, რაც სევილიური კლუბი პრიმერადივიზიონს გამოემშვიდობა, გუნდიდან ფეხბურთელები მიდიან. მალე ფინიდიც ასე მოიქცევა. იგი „მალიორკასთან“ სავარაუდოდ სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. ნიგერიელი „ბეტისში“ „აიაქსიდან“ მივიდა. ამსტერდამულ კლუბში მან 1995 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო, გარდა ამისა, სამჯერ ჰოლანდიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ესპანელმა ფარვარდმა ფერნანდო მორიენტესმა ტრავმა მიიღო და წინასწარი ინფორმაციით, ექვს კვირას ვერ ითამაშებს. მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი სამეფო კლუბისა და „ნაპოლის“ ამხანაგური მატჩის დროს დაშავდა. შეხვედრა 1:1 დასრულდა, პენალტებში კი „რეალმა“ 5:4 იმარჯვა. მორიენტესი კლუბს ევროპის სუპერთასზეც ვერ დაეხმარება. პარასკევს მადრიდელები უეფას თასის მფლობელ „გალათასარაის“ დაუპირისპირდებიან. რამდენიმე დღეში ფორვარდს ექიმები ხელმეორედ გასინჯავენ და საბოლოო დასკვნასაც მაშინ გამოიტანენ: ადვილი შესაძლებელია, მორიენტესმა ორი თვე დაისვენოს.

არგენტინელ ნახევარმცველ ხავიერ ძანეტის მადრიდის „რეალი“ და „ბარსელონა“ ეპატიჟება, თუმცა ფეხბურთელი აცხადებს, რომ მას „ინტერში“ დარჩენა სურს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ძანეტის შეძენის სურვილს ადრე „რომაც“ გამოთქვამდა. იტალიურმა სააგენტომ ერთი საინტერესო ინფორმაციაც გააკეთა, თითქოს მარჩელო ლიპი „ინტერში“ ინგლისელი პოლ ინსის დაბრუნებას აპირებს, ეს ფეხბურთელი ადრე მილანურ კლუბში თამაშობდა, თუმცა შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და ახლა „მიდლსბროშია.“

ლიდსელი ფანები მიუნხენელებს ჰიტლერულად მიესალმნენ

ჰაილ ჰიტლერ!

ინგლისელ ფანთა მორიგი ფათერაკი

ინგლისელ ფანთა ფათერაკებით აღსავსე ისტორიები გრძელდება. მოქმედების ადგილი ამჟამად გერმანიაა. მიუნხენი, ერთ-ერთი იქაური ლუდხანა, უფრო ზუსტად კი ლუდის ბაღი სახელწოდებით „ჰოფბრაუ ჰაუსი“. ბუნდესპოლიციამ იქ ფრიად შემთვრალი 13 ლიდსელი ფანი დააკავა, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიაზე დახეტიალობდნენ, ხალხს ხელის მაღლა აღმართვით ნაცისტურად ესალმებოდნენ და „ჰაილ ჰიტლერის“ ყვიროდნენ. ფანთა ჯგუფი „ლიდს იუნაიტედს“ საქომაგოდ ჩაჰყვა. ინგლისელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იქაურ „მიუნხენ 1860“-ს დაუპირისპირდებიან.

პოლიციელთა ცნობით, დაკავებულები 14-დან 44 წლამდე ასაკისანი არიან. მათ ახლა საპატიმროში გააჩერებენ და თამაშზე დასასწრებად არ გაუშვებენ.

გერმანული ცნობებით, ამ ქვეყანაში ნაციზმის ნებისმიერი გამოვლენა კრიმინალია. იკრძალება ქუჩაში ჰიტლერისეული მისალმება, სვასტიკებისა და სხვა ნაცისტური სიმბოლოების გამოფენა.

თავიდან ინგლისელ ფანთა ფათერაკები ვახსენეთ. შემთხვევები უამრავია და მათ ჩამთვლას ვერ აუვალთ. ბოლო წლების ინციდენტები მოვიგონოთ, მათი უმსგავსი საქციელი ევრო 2000-ზე, აგრეთვე მსოფლიოს ბოლო პირველობაზე საფრანგეთში. უთუოდ გაგვახსენდება სტამბოლური ტრაგედიაც, რომელიც სწორედ „ლიდსელი“ ფანების სახელს უკავშირება. „ლიდსისა“ და „გალათასარაის“ შეხვედრის წინ თურქ და ინგლისელ ფანთა შორის შეტაკებაში ორი ლიდსელი დაიღუპა.

მკვლელი ბრალს სდებს მკვლელს

ვინ არის დალგლიშის ცოლის საყვარელი?

დავიდ ჟინოლა ჟერარ ულიეს ნათქვამ მწარე სიტყვას ვერასდროს დაივიწყებს. განა ასეთი ადვილია გონებიდან იმ დღის წაშლა, როდესაც ფეხბურთელის მთელი ოჯახი ტიროდა? არა, ჭრილობა შეუხორცებელია. ულიემ ის კინაღამ მოკლა.

იქნებ ზედმეტად მაღალფარდოვანიც გეჩვენოთ რაც ვთქვით, მაგრამ ასეა და თუ არ გჯერათ ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი“ იკითხეთ, სადაც ცნობილი ფრანგი თავდამსხმელის წიგნი ნომრიდან ნომერში თავებად იბეჭდება.

დიახ, „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან“ „ასტონ ვილაში“ ახალგადასული ჟინოლა შვიდი წლის წინანდელ ამბავს იგონებს, როდესაც საფრანგეთის ნაკრებს „ლივერპულის“ დღევანდელი თავკაცი ულიე წვრთნიდა. და რაღა მიხვედრა უნდა, რა ამბავს იგონებს ვარსკვლავი. ცხადია საქმე ფრანგული ფეხბურთის ისტორიის ყველაზე მწარე საღამოს ეხება — 1993 წლის 17 ნოემბერს. იმ საღამოს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრების ბოლო ტურის მატჩში, პარიზის „პარკ დე პრენსზე“ ფრანგები ბულგარელებს მასპინძლობდნენ. თავიდან მასპინძლები იგებდნენ, შემდეგ სტუმრებმა გაათანაბრეს და... ამ სიტყვის პირდაპირზე პირდაპირი მნიშვნელობით საფინალო სასტვენამდე წამები რომ რჩებოდა, ბულგარელმა ემილ კოსტადინოვმა — სხვათაშორის პირველი გოლიც მან გაიტანა — ფრანგებს საზეიმოდ აღმართული ხელები თავში წააშენინა.

და აი, რა უთქვამს ულიეს.

„მან ფრანგული ფეხბურთის მკვლელობაში დამდო ბრალი“ — იგონებს ჟინოლა — „ჩემი დანაშაული ის ყოფილა, რომ ერიკ კანტონას ბურთი ზუსტად თავზე ვერ ჩავაწოდე, მაღლა მომივიდა. ეს ისეთი რამაა, რასაც ვერასდროს დავივიწყებ. მწამს, ჩემზე სუსტი ნერვების ადამიანი მოისპობოდა.

ასე იყო: თამაშის მეორე დღეს ნაცნობმა ჟურნალისტმა დამირეკა, ახლავე ტელევიზორი ჩართეო. ჩავრთე. არხის არჩევას აზრი არ ჰქონდა, ყველგან ულიეს სახეს წააწყდებოდი. ის ამბობდა, რომ ჩემი საქციელი ჰგავდა მის ჭიქაში შხამის ჩაწვეთებას; რომ ჟინოლამ ფრანგულ ფეხბურთს გულში დანა ჩასცა, მკვლელობა ჩაიდინა.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს მე კისერი გილიოტინისთვის მქონდა მიშვერილი, ულიე კი ჯალათი იყო. ჩემს გარშემო ყველა ტიროდა, მეუღლე, დედა, მამა, მეგობრებიც კი. ყველაზე მეტად ბაბუაჩემმა განიცადა, კინაღამ მოკვდა.“

ამ ამბის გარდა ვარსკვლავი, ბუნებრივია, სხვა, ინგლისურ ამბებსაც ეხება. მაგალითად, ის განმარტავს, თუ რატომ აუკრუვდა გული „ნიუკასლ იუნაიტედში“ თამაშზე მწვრთნელის თანამდებობიდან კევინ კიგანის წასვლის შემდეგ.

„როდესაც შევიტყე, რომ კიგანს კენი დალგლიში შეცვლიდა, მივხვდი რომ ჩემი საქმე ცუდად წავიდოდა. დალგლიში ისე მექცეოდა, გეგონება მისი ცოლის, მარინას საყვარელი ვიყავი. ეს ერთ დღეს პრესაშიც განვაცხადე და მეორე დილით, ვარჯიშზე კინაღამ ვიჩხუბეთ. ბიჭებმა გაგვაშველეს.“

რაც შეეხება ალან შირერთან ურთიერთობას:

„მე რომ მკითხოთ, შირერის გარდა პარტნიორად სხვას არავის ვისურვებდი, მაგრამ მასთან ურთიერთობისას მიძლიერდებოდა ეჭვი, რომ ერთ მშვენიერ დღეს შეეზიზღდი. შირერის ფეხბურთი მთელი ინსტიტუტია. მასზე, როგორც კაცზე სალაპარაკოდ დრო არ მაქვს, აი, როგორც მოთამაშეს კი უდიდეს პატივს ვცემ.“

მარინასი რა მოგახსენოთ და ჟინოლა ლამაზმანებში ერთობ პოპულარულია

მიხეილ სურგულაძე

ფოტლანდია

ლიგის თასის II ეტაპი

ალია — დანდი იუნაიტედი 0:3; კლაიდბანკი — კილმარნოკი 1:2 დ.დ. (0:0); დამბარტონი — ლივინგსტონი 0:4; დანფერმლინი — ისტ ფაირი 1:0; ფალკირკი — ქუინ ოფ საუთი 3:1; აინფერნისი — ეირდრიონიანი 0:2; ქუინზ პარკი — მოზერუელი 0:3; რაითი — არბროთი 2:1; როს ქაუნთი — სენტ მირენი 1:3 დ.დ. (1:1); სენტ ჯონსტონი — კუდენბითი 3:1; სტენსიმერი — ჰიბერნიანი 1:2; დანდი — მონტროსი ნუხელ გეგეან გიმართა.

იფსვიჩი — მანჩესტერი 1:1. სტუმარი ოლე გუნარ სოლსკიაერი (№20) მასპინძელთა კარს უშედეგოდ დაემუქრა

ვიალის მწარე გაკვეთილი

ინგლისი

II ტური

ბრედფორდი 2:0 ჩელსი

1:0 უინდასი (24), 2:0 კარბონე (74)

ბრედფორდი: კლარკი, ნოლანი, აზერტონი, ვეზეროლი, ობრაიენი, შარპი, მაკკოლი, ჰოპკინი, პეტრესკუ (უორდი 75), კარბონე (ბეიერსი 88), უინდასი

მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი

ჩელსი: დე გუი, ბაბაიარო (ბარლი 46), მელხიოტი (პანუჩი 62), დესაი, ტომე, პოიეტი, უაიზი, დი მატეო, მორისი, ძოლა, ჰასელბაინკი (ფლო 55)

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

გაფრთხილება: უაიზი

მაყური: ჰელსი

17 872 მაყურებელი

იფსვიჩი 1:1 მანჩესტერი

1:0 უილნისი (6), 1:1 ბექემი (39)

იფსვიჩი: რ. რაიტი, უილნისი, ბრამბლი, ჰრეიდარსონი, ვენუსი, კლაპამი, ჯ. რაიტი, ჰოლანდი (რიზერი 49), მეკილტონი, იონსონი, სტიუარტი (შოუკროფტი 84)

მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, უოლვორკი, სტამი, ფ. ნევილი (სილვესტრი 75), ბექემი, კინ, სქოულზი, გიგზი, სოლსკიაერი (ე. კოული 63), იორკი (შერინგემი 79)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: სტამი, უილნისი, იორკი, ფ. ნევილი, ბექემი

მაყური: უინტერი

22 007 მაყურებელი

მიდლსბრო 1:1 ტოტენჰემი

0:1 ლეონარდსენი (41), 1:1 სამერბელი (59)

მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ვიკერსი, პაულისტერი, ონილი, კარამბუ, ოკონი, სამერბელი, ფოში (ბელამი 85), დინი, რიკარდი (ე. კემპბელი 85)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

ტოტენჰემი: სალივანი, კარი, ს. კემპბელი, ბერი, ტეტერი, ანდერტონი, ფროინდი, შერვუდი, ლეონარდსენი, ივერსენი, რებროვი (ლ. ფერდინანდი 75)

მწვრთნელი: ჯორჯ გრეგი

გაფრთხილება: სამერბელი, ივერსენი, ოკონი

მაყური: ჯონსი

31 254 მაყურებელი

სეზონის წარმატებული სტარტისა და პრემიერლიგის პირველ ტურში „ნიუკასლ იუნაიტედზე“ შთამბეჭდავად გამარჯვების შემდეგ ქვეყნის ჩემპიონი ახალაღზევებულ „იფსვიჩს“ ესტუმრა. უდავოა, წყვილში უპირობო ფავორიტად „მანჩესტერი“ ითვლებოდა, თუმცა ნურას უკაცრავად, ალექს ფერგიუსონის შეგირდებს ძალიან გაუჭირდათ მასპინძლებთან გამკლავება და რომ არა ფაბიენ ბარტეზის ოსტატობა, ალბათ, სეზონში პირველ მარცხსაც ვერ გადაურჩებოდნენო, ირწმუნებიან ბრიტანელი მიმოშხილველები.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, ფერგიუსონმა შეტევის სხვაგვარი ტაქტიკა არჩია და სასტარტო შემადგენლობაში სოლსკიაერ-იორკის დუეტი გაამწესა, ნაცვლად შერინგემი-კოულისა. ამრიგად ფორვარდი, რომელმაც ხუთი წლის წინ „იფსვიჩს“ 9 გოლიდან ხუთი გაუტანა, ამჯერად სათადარიგოთა სკამზე მოხვდა. ენდი კოულზე მოგახსენებთ, „იუნაიტედის“ „იფსვიჩზე“ 9:0-ით გამარჯვებაში 1995 წელს ლომის წილი რომ დაიდო.

„იფსვიჩი“ მეექვსე წუთზე დაწინაურდა. ფაბიენ უილნისმა გამოიჩინა თავი და „პორტმან როუდზე“ შეკრებილი 22 ათასი ქომაგი აღაფრთოვანა. იოლი საქმე ხომ არ არის, პრემიერლიგაში ახალგადასულმა პირველივე წუთებში თავად ჩემპიონს გაუტანა.

ამის შემდეგ „იუნაიტედმა“ სიმძლავრეებს უმატა და შეეცადა მეტოქისთვის ჩვეული თამაში მოეხვია თავს. აქტიურობდნენ გიგზი და სქოულზი. რამდენჯერმე დევიდ ბექემმაც შეაწუხა რიჩარდ რაიტი — „იფსვიჩის“ მთავარი და ინგლისის ნაკრების სათადარიგო მეკარე. 39-ე წუთზე „მანჩესტერმა“ საწადელს მიაღწია, მასპინძელთა კარი ბექემმა დალაშქრა. მერე შეტევები ორივე კარის მიმართულებით წარიმართა, თუმც რაიტი და ბარტეზი ყოჩაღობდნენ და მეტი გოლი აღარ გაუშვიათ. განსაკუთრებით ფრანგის ოსტატობას აღნიშნავენ.

მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა მსაჯებს კბილი ოდნავ გაჰკრა, თუმც ჩვეული დიპლომატია მაინც არ დაივიწყა და განაცხადა, რომ მათ საქციელზე ყურადღების გამახვილებას არ აპირებს. არბიტრმა ჯეფ უინტერმა იმ საღამოს ოთხი მანჩესტერელი გააფრთხილა. თვლიან, რომ არცთუ სამართლიანად. მერე სერ ალექსმა მატჩიც შეაფასა და განაცხადა: „ერთობ მომხიბვლელი სანახაობა იყო. მეტოქის თამაში ნამდვილად მომეწონა. ვგონებ, ქულას იმსახურებდა. შედეგით არც მე ვარ უკმაყოფილო. ჩვენი გუნდიდან ფაბიენ ბარტეზის თამაშს გამოვყოფდი. მან რამდენჯერმე გვიხსნა აშკარა გოლისგან“.

„იფსვიჩის“ თავკაცი ჯორჯ ბარლი: „სიამოვნების საბაბი ნამდვილად მაქვს, ბიჭები „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუმკლავდნენ. ბევრი ფიქრობს, რომ წლეულს პრემიერლიგაში ადგილს ვერ შეინარჩუნებთ, თუმც ამ აზრს ვერ დავეთანხმები. ვგონებ, უძლიერესთა შორის უნდა დავრჩეთ“.

ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული ჯანლუკა ვიალის „ჩელსი“ „ბრედფორდს“ ესტუმრა და „უოლეი პარადზე“ 0:2 დამარცხდა. ზოგიერთმა ლონდონელთა პოტენციურ ჩემპიონობაში პირველი ბზარებიც კი შენიშნა, თუმცა ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, პრემიერლიგა სულ ორი ტურის დაწყებულია.

ედ დე გუის კარი 24-ე და 74-ე წუთებზე დეან უინდასმა და ბენიტო კარბონემ დალაშქრეს.

„ჩელსის“ ყოფილმა ფეხბურთელმა და ამჟამად „ბრედფორდის“ მწვრთნელმა კრის ჰაჩინგსმა გუნდს თავისი პირველი გამარჯვება სწორედ ძველი კლუბის წინააღმდეგ აზეიმა. „შედეგით ნამდვილად არ გავოცებულვარ — აღნიშნა შემდგომში ჰაჩინგსმა — ფეხბურთელებს სწორედ იმიტომ ვყიდულობთ, რომ თამაშები მოვიგოთ“.

ვიალის გუნდს კიდევ ერთი ყოფილი ჩელსელი დან პეტრესკუ დაუპირისპირდა. ეს ფეხბურთელი „ბრედფორდში“ სულ ახლახან სწორედ ლონდონური კლუბიდან ჩაირიცხა და, როგორც რუმინელმა გაამხილა, ვიალიმ აიძულა, გუნდი გამოეცვალა.

იტალიელმა მწვრთნელმა კი მატჩის შემდეგ თავისი თანამემამულე კარბონე შეაქო, რომელმაც მის გუნდს მეორე გოლი გაუტანა. მერე კი ვიალიმ განაცხადა: „ბუნებრივია, „ბრედფორდთან“ წაგება უფრო მწყინს, ვიდრე „მანჩესტერთან“, „არსენალთან“ ან „ლიდსთან“, რადგან თუ ჩემპიონობა გსურს, კლასით შედარებით დაბალ გუნდებთან ქულები არ უნდა დაკარგო. ეს ჩვენთვის მწარე გაკვეთილი იქნება“.

დაბოლოს ამ დღეს ჩატარებულ მესამე მატჩზეც ვთქვათ. „მიდლსბრომ“ „ტოტენჰემს“ უმასპინძლა. შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. ამ გუნდებმა პირველ ტურში მოიგეს, ახლა კი ერთმანეთში ქულები გაიყვეს — 4-4 აქვთ.

ნიკა შუბლაძე

ტოტენჰემი	2	1	1	0	4:2	4
მიდლსბრო	2	1	1	0	4:2	4
მანჩესტერი	2	1	1	0	3:1	4
ჩარლტონი	1	1	0	0	4:0	3
ლიდსი	1	1	0	0	2:0	3
არსენალი	2	1	0	1	2:1	3
ბრედფორდი	2	1	0	1	2:1	3
სანდერლენდი	1	1	0	0	1:0	3
ჩელსი	2	1	0	1	4:4	3
ლივერპული	2	1	0	1	1:2	3
საუთჰემპტონი	1	0	1	0	2:2	1
დერბი ქაუნთი	1	0	1	0	2:2	1
ასტონ ვილა	1	0	1	0	0:0	1
ლესტერი	1	0	1	0	0:0	1
იფსვიჩი	2	0	1	1	2:4	1
ვესტ ჰემი	1	0	0	1	2:4	0
ქოვენთრი	1	0	0	1	1:3	0
ევერტონი	1	0	0	1	0:2	0
ნიუკასლი	1	0	0	1	0:2	0
სიტი	1	0	0	1	0:4	0

ორგზის გაძევებული და გულდაწყვეტილი

წავა ვიეირა არსენალიდან?

პატრიკ ვიეირა ისე გაბრაზდა, მზად იყო, ინგლისში თამაში მიეტოვებინა და „ჰაიბერიდან“ წასულიყო, ამბობს „არსენალის“ ნახევარმცველის თანამემამულე, ლიდსელი ოლივერ დაგური, რომელიც ვიეირას ახლო მეგობარია. ვიეირა ზედიზედ მეორე შეხვედრაში გააძევეს მინდვრიდან. ჯერ პრემიერლიგის პირველ ტურში „სანდერლენდთან“ დაიმსახურა წითელი ბარათი. ცხადია, ამისთვის მას დისკვალიფიკაცია მოელოდა, მაგრამ რადგან სადისციპლინო კომისიას განაჩენი ჯერ არ გამოეტანა, ხოლო მეორე ტური გაძევებიდან ორი დღის შემდეგ ჩატარდა, ფრანგმა „ლივერპულის“ წინააღმდეგაც ითამაშა. თუმც მატჩი ვერც ამჯერად დაასრულა. მოკლე დროში მსაჯმა გრემ პოლმა ვიეირას ზედიზედ აუფრიალა ჯერ ყვითელი და მერე წითელი ბარათები.

განრისხებულმა ვიეირამ „ჰაიბერის“ გაზონზე მაისურა დაანარცხა და გასახდელისკენ გაეშურა. ამ მომენტს ოლივერ დაგური ასე აღწერს: „როცა პატრიკი მინდვრიდან გადიოდა, გავიგე, რაც თქვა. მას ინგლისში თამაში აღარ სურდა და საერთოდ კარიერაზე აიცრუა გული. ორი წითელი ბარათის ზედიზედ მიღება ძალიან საწყენია და ამ დროს ფსიქოლოგიურად ითრგუნები. მე პატრიკის მესმის. იგი თავს დაჩაგრულად გრძნობს“.

მატჩის შემდეგ ბევრი ალაპარაკდა, ვიეირამ ეგებ „არსენალი“ დატოვოს და სათამაშოდ სხვა ქვეყანაში გადავიდესო. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ მას ბევრი მსურველი ჰყავს. ესპანური და იტალიური კლუბები ფრანგმა ძალიან დაინტერესა და ამას არც მალავენ.

აი, რას ამბობს ვიეირას ყოფილი თანაკლუბელი და თანამემამულე ემანუელ პეტი, რომელმაც კარიერა „ბარსელონაში“ გააგრძელა:

„ვგონებ, პატრიკი ახლა ფიქრობს, რომ წასვლა აჯობებდა. მე ვიცი, რომ მას „არსენალში“ მოსწონს, იქაური ქომაგები ძალიან უყვარს, მაგრამ იგი მართლაც გააწბილეს, ზედიზედ ორ მატჩში ორი გაძევება, მეტისმეტია, ყოველგვარ ზღვარს სცილდება“.

თავისი აზრი „მეთოფეთა“ თავკაცმა არსენ ვენგერმაც გამოთქვა და განაცხადა, პატრიკს ახლა ძალიან უჭირს, თუმცა ვეცდები ინგლისში დარჩენაზე დავიყოლიოო. „ვიეირა ამას ნამდვილად არ იმსახურებდა. იგი გაიმეტეს, თუმცა არ უნდა დაეცეს და ბრძოლა გააგრძელოს. მას ინგლისურ ფეხბურთში თავისი სიტყვა ჯერ არ უთქვამს. მწამს, იგი „არსენალს“ არ მიატოვებს“.

იგივე თქვა ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმაც, რომელმაც თავის თანაგუნდელს მხარი დაუჭირა და გაამხნევა: „პატრიკი არ უნდა წავიდეს, ეს გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება. ჩვენ, თანაგუნდელები, ვეცდებით გავამხნეოთ“. მან უნდა იცოდეს, რომ ყველა მხარს ვუჭერთ“.

„პატრიკი გაოცდა და აღშფოთდა, მეორე მატჩში ზედიზედ რომ გააძევეს — ჯერ „სანდერლენდთან“, ახლა „ლივერპულთან“. ეს უკვე მეტისმეტია“ — სხვებისავით განაცხადა ტიერი ანრიმ.

აღმოჩნდა, რომ ვიეირა, რაც „არსენალში“ თამაშობს, უკვე მეექვსედ გაძევეს მინდვრიდან. პრემიერლიგის სადისციპლინო კომისია მის საკითხს განიხილავს და ფეხბურთელს ალბათ დისკვალიფიკაციითაც დასჯის. ამბობენ, რომ იგი დაახლოებით ხუთი ტურით დააკლდება „არსენალს“.

„არსენალისა“ და „ლივერპულის“ მატჩის არბიტრმა გრემ პოლმა, რომელმაც ვიეირას გარდა კიდევ ორი ფეხბურთელი — ლივერპულელები გარი მაკალისტერი და დიმიტარ ჰასანი გააძევა მინდვრიდან, შეხვედრის შემდეგ მოედანი პოლიციის ესკორტის თანხლებით დატოვა.

ნიკა შუბლაძე

დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად

ბარენცის ზღვაში რუსეთის ატომურ წყალქვეშა ნავის, „კურსკის“ დაღუპვამ არც ფეხბურთელები დატოვა გულგრილი. რამდენიმე კლუბმა უკვე გამოთქვა სურვილი დაღუპულთა ოჯახებს დახმარებოდა.

„სპარტაკის“ სახელით განცხადება გააკეთეს მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა და გუნდის კაპიტანმა ანდრეი ტიხონოვმა. რუსეთის ჩემპიონატის მომდევნო ტურში ნიჟნინოვგოროდელებთან მატჩის მთელ შემოსავალს ისინი სპეციალურ ფონდში გადარიცხავენ, რომელიც დაღუპულ მეზღვაურთა ახლობლებს გადაეცემა.

იგივეს გააკეთებს მოსკოვის „ლოკომოტივიც“. ამ საქმისთვის რკინიგზელები ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ბეშიქთაშთან“ შეხვედრაში გაყიდული ბილეთებით მიღებულ ფულს გაიღებენ. ამის თაობაზე კლუბის პრეზიდენტმა, მწვრთნელმა და კაპიტანმა განაცხადეს.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილ დონეცკის „შახტარს“ კი უკვე განუსაზღვრავს, თუ რა თანხით დაეხმარება მეზღვაურთა ოჯახებს. „შახტარის“ პრეზიდენტი რინატ ახმეტოვი ასი ათას დოლარს გადარიცხავს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი
ევროპა

ბელგია — ხორვატია

ხორვატია:

მეკარეები: ჟელკო პავლოვიჩი (ლინცერი, ავსტრია), სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი);

მცველები: იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია), რობერტ კოვაჩი (ლევერკუზენი, გერმანია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალია), სტეპან ტომაში (ვიჩენცა, იტალია), მარიო ცვიტანოვიჩი (ვერონა, იტალია), იგორ ბისკანი (დინამო);

ნახევარმცველები: ბორის ჟოკოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), რობერტ პროსინეჩკი (დრაგოვოლიაცი), ნიკო კოვაჩი (ჰამბურგი, გერმანია), რობერტ იარნი (ლას პალმასი, ესპანეთი), კრუნოსლავ იურჩიჩი (ტორინო, იტალია), იურიკა ვრანიეში (ლევერკუზენი, გერმანია);

თავდამსხმელები: ალენ ბოკშიჩი (მიდლსბრო, ინგლისი), დავორ შუკერი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ბოშკო ბალაბანი (დინამო), მარიო სტანიჩი (ჩელსი, ინგლისი)

გრანდებს შახტაში ელიან

გალათასარაი — სენტ გალენი 2:2. მასპინძელთა ბრაზილიელი ლეგიონერი მარიო ჟარდელი (№9) ჩემპიონთა ლიგაში ახლა თურქებისთვის გაირჯება

„რეალი“, „ბარსელონა“, „დეპორტივო“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ბაიერნი“, „ლევერკუზენი“, „ლაციო“, „იუვენტუსი“, „მონაკო“, „პარი სენ ჟერმენი“, „პსვ ეინდჰოვენი“, „ჰერენვენი“, „სპორტინგი“, „ოლიმპიაკოსი“, „სპარტაკი“ — მათი ამბავი ადრევე გადაწყდა, გუშინწინ და გუშინ კი თექვსმეტი გუნდიც შეუერთდა.

ხვალ ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის წილისყრაა, ხოლო სექტემბრიდან დიდი ბრძოლა გაჩაღდება.

ზეიმობენ ლიგაში თავშეყოფილები, განსაკუთრებით „შახტარის“ ქომაგები. დონეცკს ევროპული ფეხბურთის გრანდები ესტუმრებიან. ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტის ქომაგებსაც მეტი რა უნდათ...

პირველი მატჩი ჩეხურმა „სლავიამ“ სტუმრად მოიგო, მართალია, მინიმალური სხვაობით, მაგრამ მოგება მოგებაა და საპასუხო შეხვედრაში პრაღელი ფეხბურთელები დამშვიდებულნი ჩანდნენ. ვიღაც „შახტარი“ — ალბათ, ასე თუ შეაფასეს მეტოქე. იგივე ითქმის მათ ქომაგებზეც, თამაში თითქმის ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართა. თუმცა არსებობდა სხვა მოსაზრებაც. დონეცკური მატჩის შემდეგ „სლავიამ“ უდავო ფავორიტის შთაბეჭდილება ვერ დატოვა, უკრაინელები არაფრით ჩამორჩებოდნენ და ეს საპასუხო მატჩმაც დაადასტურა.

ჩეხებს აშკარად აკლდათ რაღაც. რამდენიმე შემთხვევა ჰქონდათ, როცა შეტევაში გართული მეტოქის კონტრიერიშებზე გამოჭერა შეეძლოთ. უფრო მოღალი კლასის, ანდა უბრალოდ გოლს მოწყურებული გუნდი ერთხელ მაინც ისარგებლებდა, მაგრამ სლავიელებს ბრძოლის ჟინი არ ეტყობოდათ. ჰოდა, დაისაჯნენ.

20 წუთი მიილია, მასპინძლებს თავი უკვე ჩემპიონთა ლიგაში ეგონათ და ბოლო წამებს ითვლიდნენ. მათ ერთადერთი ამოცანა ჰქონდათ, ბურთი საკუთარი საჯარიმოდან გაეტანათ, მაგრამ მას კვლავ შახტარელები ეუფლებოდნენ და ისევ რადეკ ჩერნის კარისკენ მიჰქონდათ.

ჩეხთა კართან კუთხერი დაინიშნა. საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს შეკარე ჩერნიმ მუშტი შეაგება ოღონდ არა ისე, როგორც წესია — იქვე რამდენიმე მეტრში მეტოქეს ჩააბარა. ანდრეი ვარობეის დარტყმა და 0:1.

თამაში დამატებით დროში გაგრძელდა, თუმცა ფსიქოლოგიურმა ფონმა ფავორიტი შეცვალა — მასპინძლებმა ყურები ჩამოყარეს, ხოლო სტუმრები — გალაღდნენ. შედეგმაც არ დააყოვნა. მესამე ტაიმის მე-7 წუთზე მატჩის გმირმა ანდრეი ვორობეიმ სერგეი ატენკინს ზუსტი პასი მიაწოდა. ატენკინის გოლმა კი „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა. „სლავიას“ სანუგეშოდ უეფას თასი შერჩა.

ანდრეი შევჩენკო გასულ სეზონში სერია A-ს ბომბარდირი გახდა. სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ უკრაინელი თავდამსხმელი ახლა ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო მეგოლეც შეიქნა. ჯერჯერობით ასეა, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის ორ შეხვედრაში „მილანმა“ ექვსი გოლი გაიტანა, მათგან ოთხი — შევჩენკომ.

ზაგრების „დინამომ“ (ყოფილი „კროაცია“) ჩემპიონთა ლიგის საგზური ფაქტობრივად პირველი მატჩის მერე დაკარგა. აბა, „მილანთან“ 1:3 რომ წაგებ, საპასუხო შეხვედრაში რისი იმედი უნდა გქონდეს? თუმცა ხორვატებს აქვთც ის, რითაც ყველა ვერ დაიკვეხნის — თავმოყვარეობა და საკუთარი მაყურებლის პატივისცემა. მათ იბრძოლეს. ნაღდ ბრძოლაში დამარცხება კი სამარცხვინო არაა.

ანდრეი შევჩენკომ, მილანური მატჩის მსგავსად, ზაგრებშიც ორი გოლი გაიტანა. პირველი 23-ე წუთზე, საჯარიმო დარტყმით. ბურთმა ცოცხალ კედელს შემოუარა და კარში შევარდა. საინტერესოა, რომ „მილანში“ შევჩენკო საჯარიმოებს არ ურტყამს. ეს ფუნქცია იქ დემეტრიო ალბერტინის ეკისრება. თითქოს ახლაც ასე უნდა ყოფილიყო. უკრაინელთან ერთად ბურთთან ალბერტინიც მივიდა, მაგრამ შესრულება, როგორც ვთქვით, შევჩენკომ ითავა და ლამაზი გოლიც გაიტანა.

მეორე კი დინამოელთა კარის სიახლოვეს წარმოქმნილ ზედახორას მოჰყვა. ბურთისთვის ბრძოლა ბლომად ფეხბურთელებმა გააჩაღეს, ხოლო გამარჯვება შევჩენკოს დარჩა. აუღელვებლად დაარტყა — 2:0. მერე „მილანის“ ესპანელმა ხოსე მარიმაც გაიტანა და სილვიო ბერლუსკონის გუნდი ლიგაშია.

„გალათასარაი“ — „სენტ გალენის“ შეხვედრაში შვეიცარიელებმა სამი გოლი გაიტანეს. ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა, რომ არა ერთი მცირე დეტალი — სტუმრებს მისამართი შეეშალათ და პირველი გოლი საკუთარ კარში შეაგდეს.

ყველამ იცის, თუ რას ნიშნავს სტამბოლში „გალათასარაის“ წინააღმდეგ თამაში, მით უმეტეს, როცა პირველი საშინაო შეხვედრა წაგებული გაქვს და შენიანი საკუთარ კარს ლაშქრავს. ამის მერე „სენტ გალენს“ იმედი საბოლოოდ უნდა წარკვეთოდა. 27-ე წუთზე წინა ჩემპიონთა ბომბარდირმა მარიო ჟარდელმა პენალტიც გაიტანა. და მაინც, „სენტ გალენი“ კერკეტი კაკალი გამოდგა. მასპინძლები ორბურთიანი უპირატესობით მხოლოდ სამ წუთს დატკბნენ. მერე რუმინელმა ლეგიონერმა იონ განეამ (მას მარტში თბილისშიც ვიხილავთ, როცა რუმინეთის ნაკრები საქართველოს შეხვდება) ერთი საპასუხო გაიტანა.

ამის მერე თამაში აღარ გამწვავებულა, უფრო სწორად, ორივე მხრიდან ბლომად მცდელობების მიუხედავად, რეალური საგოლე მომენტები არ იქმნებოდა. მაგრამ 85-ე წუთზე ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი მეკარე კლაუდიო ტაფარელი უხეშად შეცდა და ჩარლზ ამოას გაატანინა გოლი, რაც ამ დონის მეკარეს არ ეპატიება.

რაღა რჩებოდა „სენტ გალენს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრამდე? კიდევ ერთი გოლი. სათქმელად ადვილია, მაგრამ როცა ძლიერი მეტოქე გყავს და თამაშის დასრულებამდე ხუთი წუთია დარჩენილი, ეს ძალიან ძნელი შესასრულებელია. ვერც შეძლო და თუმცა სტამბოლელმა ქომაგებმა ბოლო წუთებში გვარიანად ინერვიულეს, ორი მატჩის ჯამში გამარჯვება მათ გუნდს დარჩა.

ახლა დაიწყება ჩემპიონთა ლიგა და განახლდება თურქ გულშემატკივართა შეძახილები: „მაშალა, გალა!“

„ჰამბურგი“ — „ბრონდბიუს“ მატჩის

ჩემპიონთა ლიგა. მესამე ეტაპი
საპასუხო მატჩები. 22 აგვისტო

CHAMPIONS LEAGUE

სლავია (ჩეხეთი) 0:2დ.დ. (0:1) შახტარი (უკრაინა) (1:0)
0:1 ვორობეი (90), 0:2 ატენკინი (97)
8 578 მაყურებელი

ჰამბურგი (გერმანია) 0:0 ბრონდბიუ (დანია) (2:0)
გაძევება: იოჰანსენი (ბრონდბიუ, 82)
44 351 მაყურებელი

დინამო (ხორვატია) 0:3 მილანი (იტალია) (1:3)
0:1, 0:2 შევჩენკო (23, 43), 0:3 ხოსე მარი (56)
გაძევება: ბუკიჩი (დინამო, 44)
30 000 მაყურებელი

გალათასარაი (თურქეთი) 2:2 სენტ გალენი (შვეიცარია) (2:1)
1:0 ზელვეგერი (22სკ), 2:0 ჟარდელი (27პ), 2:1 განეა (30), 2:2 ამოა (85)
15 000 მაყურებელი

დინამო — მილანი 0:3. ხოსე მარიმ (№11) და მილანელებმა მარიო ტოკიჩს და მის თანაგუნდელებს სულ თავ-ბედი აწყევლინეს

შემდეგ გერმანელთა მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა განაცხადა: „ჰამბურგში“ მოსვლის შემდეგ ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო“.

პაგელსდორფმა „ჰამბურგში“ მუშაობა 1997 წელს დაიწყო და საუკეთესო შედეგს წინა სეზონში მიაღწია, როცა გუნდი ბუნდესლიგაში მე-3 ადგილზე გაიყვანა. ახლა კი ჩემპიონთა ლიგა... და განა მხოლოდ. მწვრთნელისთვის იყო „ბრონდბიუსთან“ შეხვედრა უმნიშვნელოვანესი? მთელი 17 წელი გავიდა მას მერე, რაც „ჰამბურგმა“ ბოლო წარმატებას მიაღწია ევროტურნირებზე — 1983 წელს ჩემპიონთა თასი მოიგო (ქართველებმა რაღა ვთქვათ?)

თამაში საინტერესო არ გამოდგა. მასპინძლებს ბრონდბიუდან გამოყოლილი ორბურთიანი უპირატესობის იმედი ჰქონდათ და თავი მაინც და მაინც არ გამოიდეს, დანიელები კი რისი გამკეთებლებიც იყვნენ, პირველ მატჩში გამოჩნდა. მხოლოდ ჰამბურგელთა ვეტერანი განელი თავდამსხმელი ტონი იებოა ჯახირობდა რაღაცას, მაგრამ რამდენჯერაც დაარტყა, დანიელთა მეკარე მოგენს კროგმა აუღო.

82-ე წუთზე იმავე იებოასთან უხეშობისთვის დან ანტონ იოჰანსენი გაძევეს და მეტი არაფერი მომხდარა.

ბოლო წუთის სენსაციები

ინტერტოტოს თასი. ფინალი
საპასუხო მატჩები. 22 აგვისტო

INTERTOTO CUP

ზენიტი (რუსეთი) 2:2 სელტა (ესპანეთი) (1:2)
1:0, 2:0 პოპოვიჩი (32, 63), 2:1 კარპინი (83), 2:2 მაკარტი (88)
21 000 მაყურებელი

შტუტგარტი (გერმანია) 1:1 ოსერი (საფრანგეთი) (2:0)
0:1 კაბო (38), 1:1 ბალაკოვი (62)
12 000 მაყურებელი

უდინეზე (იტალია) 4:2დ.დ. (2:2) სიგმა (ჩეხეთი) (2:2)
0:1 ბაბალი (44), 1:1 ბუცი (87), 1:2 ბუჩა (88), 2:2 იუფალუში (90სკ.), 3:2 სოსა (99), 4:2 მარჯოტა (115)
გაძევება: ბუცი (უდინეზე, 90); 20 000 მაყურებელი

თითქოს უცნაურია, მაგრამ ინტერტოტოს ფინალურმა მატჩებმა თავისი დრამატულობით ჩემპიონთა ლიგაში გასასვლელად ჩატარებული შეხვედრები დაჯაბნა.

სამიდან ორ თამაშში გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებმა გაარკვია და მატჩების ბედი უკულმა დატრიალდა. მიმოხილვა კი ყველაზე ნაკლებ საინტერესოთი დავიწყოთ.

„შტუტგარტმა“, თასების თასის სამი წლის წინანდელმა ფინალისტმა, ფრანგულ „ოსერს“ უმასპინძლა და სტუმრად მოპოვებული გამარჯვებაც უმაგრებდა ზურგს. გერმანელები ბლომად უტევდნენ, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, გოლი თავად გაუშვეს. ერთერთი კონტრიერიშის დროს მათმა მეკარე ტიმო ჰილდებრანდმა სტეფან გივარშის დარტყმული უხერხულად მოიგერია და დამატებაზე ოლივიე კაპომ გაიტანა. იმ დროისთვის, მატჩის 38-ე წუთისთვის, ორი შეხვედრის ჯამში ანგარიშის გასათანაბრებლად ფრანგებს საკმაოდ დრო ჰქონდათ. მათ ბულგარელმა კრასიმირ ბალაკოვმა ჩინებულად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გადაუწურათ იმედი. ამ შედეგით — „შტუტგარტი“ სხვა გერმანელ კლუბებს — „ვერდერს“, „კაიზერსლაუტერნს“ და „ჰერტას“ შეუერთდა, რომლებიც ასევე უეფას თასზე ითამაშებენ.

საფეხბურთო მატჩში მსაჯის მიერ წამატებული დრო რომ არ არსებობდეს, „ზენიტი“ „სელტას“ დაამარცხებდა. ორი კვირის წინ ვიგოში მასპინძლებმა სანკტპეტერბურგელებს ბოლო წამებზე გამოგლიჯეს გამარჯვება ხუანფრანის გოლით. იგივე განმეორდა ახლაც, მეტი დრამატულობითაც კი.

83-ე წუთამდე „ზენიტი“ 2:0-ს იგებდა. საბოლოო გამარჯვებისთვის ეს სავსებით საკმარისი იყო. კოშმარი მერე დაიწყო. პაბლო გონსალესის ლამაზი კომბინაციისა და უზუსტესი პასის მერე ბურთი ვალერი კარპინმა მიიღო და ერთი გოლი ისე გაქვითა, ზენიტელთა მეკარე რომან ბერეზოვსკიმ გადახტომაც ვერ მოასწრო.

ამ გოლმა მასპინძლები შეაგუა იმ აზრს, რომ თამაში დამატებით დროში გაგრძელდებოდა. ჰოდა, რასაკვირველია, დაისაჯნენ. ბენი მაკკარტიმ წარმატებულ დროში მეორე გოლიც გაიტანა.

მატჩის შემდეგ „ზენიტის“ მწვრთნელმა იური მოროზოვმა პრესკონფერენციაზე საუბარიც არ ისურვა, თუმცა უფრო საოცარი ამბები დატრიალდა უდინეში. ამაში დასარწმუნებლად მატჩის ოქმში ჩახედვაც კმარა. 87-ე წუთამდე ანგარიში ჩეხთა სასარგებლოდ იყო. ამ დროს მუცემ გაათანაბრა და „უდინეზე“ ორი მატჩის ჯამში გამარჯვებას მიუახლოვდა. ჩეხებმა ცენტრიდან დაიწყეს და მაშინვე გაიტანეს. ორი წუთიც და „სიგმა“ უეფაზე გავიდოდა. მაგრამ ისინი ტომაშ იუფალუშმა დაღუპა. რაოდენ უიღბლო უნდა იყოს კაცი, რომ ბოლო წამებზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრას.

დამატებით დროში კაცნაკლულ „უდინეზეს“ მეტოქის დაჯაბნა აღარ გასჭირვებია.

ესაა, რაცაა

აი, ბატონო ჩემო, აქ 8 მილიონი დოლარია. ეს არის და ეს. მეტი არ გვაქვს. ან აიღეთ და ხელი ხელს დაკრათ ან არა და თქვენც კარგად და ჩვენც კარგად — დაახლოებით ასეთი რამ უთხრა რომის „ლაციომ“ ესპანურ „ბარსელონას“, რომელსაც ჰოლანდიელი ბუდეკინ ზენდენის მიყიდვას სთხოვს.

„ლაციოს“ რომ ფეხბურთელების შეძენისთვის გადადებული ფული ცოტაღა ჰქონდეს, რა გასაკვირია. ამ ზაფხულს ხომ ას მილიონზე მეტი გაიღო და, ალბათ, ახლა მართლაც კაპიკებს ითვლის. როგორც რომაელთა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ განაცხადა აქ, გამოსავლად შესაძლოა ზენდენში მოთხოვნილი თანხის სამი წლის განმავლობაში გადახდა ჩაითვალოს. მწვრთნელი, სვენ გორან ერიკსონი მშობლიური შვედეთის ტელევიზიით გამოსვლისას ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შეჩერდა:

„ჩვენ დიდძალ თანხად ბევრი ფეხბურთელი შევიძინეთ. არც გასაყიდთა სიაში შეყვანილთა საყოველთაო გასხვისება აღმოჩნდა შესაძლებელი თუ სასურველი, თორემ მათგან მონაგებ ფულსაც დავამატებდით. ამიტომ შეიქმნა ზენდენთან დაკავშირებით ასეთი მდგომარეობა, თუმცა მოლაპარაკებები გრძელდება. ჩვენ ვცადეთ თანხის გადახდა რამდენიმე წელიწადზე გაგვეჭიმა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ბარსელონა“ ამ ვარიანტს იუარებს“.

პაველ ნედვედის შეძენა „მანჩესტერს“ მოუნდა

სიტყვამ მოთამაშეთა გაყიდვა მოიტანა და ვთქვათ, რომ „ლაციოს“ ჩეხი ნახევარმცველი პაველ ნედვედი „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს.

„როგორ არა, შევიტყე, რომ „მანჩესტერს“ ჩემი ყიდვა სწადია, მაგრამ ახლა რომიდან წასვლა მაინც და მაინც არ მინდა. „ლაციოს“ ახალ სეზონში დიდი მიზანი აქვს, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სურს და თუ მიაღწია, გუნდს გამარჯვებულის სტატუსით დავტოვებ. ხომ იცით, „ლაციოს“ შემადგენლობაში ფაქტობრივად ყველაფერი მოგებული მაქვს ამ ერთი და უდიდესი თასის გარდა“ — განაცხადა ნედვედმა.

ვიჯექი და ვხედავდი

ლუიჯი სარტორი

„პარმასა“ და ნახევრად სამოყვარულო „ფოლინიოს“ შორის ერთგოლიანი განსხვავება ყოფილა. ყოველ შემთხვევაში იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდის ვარსკვლავებმა უმცირესობასთან ამხანაგურ შეხვედრაში მარკო დი ვაიოს ზუსტი დარტყმის გარდა დიდი ვერაფერი აჩვენეს და პრესის სერიოზული კრიტიკაც დაიმსახურეს.

ამ მატჩში თავიდან ბოლომდე ლუიჯი სარტორმა ითამაშა და როგორც მოგვიანებით თავადვე აღნიშნა, მოვლენები ჟურნალისტებისგან განსხვავებით მუქ ფერებში არ აღუქვამს.

„ამხანაგური თამაშები მომზადებისთვისაა და მათი შედეგების მიხედვით დასკვნების გამოტანა სწორი არ უნდა იყოს. მე თუ მკითხავთ, „ფოლინიოსთან“ მატჩში ჩვენ კარგად ვიმოძრავეთ და ის, რაც მწვრთნელს სურდა, შევასრულეთ“.

მაგრამ, ამხანაგურიც არის და ამხანაგურიც. უფრო სწორად, ანგარიშსაც გააჩნია. მაგალითად, ერთი ხნის წინ „პარმამ“ „ლივერპულთან“ წაივარჯიშა და 0:5 მიიღო. სარტორი ასე მსჯელობს:

„მართლაც, ასეა თუ ისე, ისეთი რამ, რაც „ლივერპულთან“ გადაგვხდა დასავიწყებლად ძნელია. თამაში ამხანაგური იყო, მაგრამ რაც გინდა ერქვას, ფეხბურთელმა ყოველთვის საუკეთესო თვისებების ჩვენება უნდა სცადოს. და მაინც, იმავ „ლივერპულთან“ 10 დღის შემდეგ რომ გვეთამაშა, სულ სხვა სურათს ნახავდით, რადგან იმ მატჩის დღეს ორი გუნდის ფიზიკურ ფორმასა და ზოგადად მომზადებას შორის სერიოზული განსხვავება იყო.

მაგრამ, ამას რომ ვამბობ, იმასაც ვგულისხმობ, რომ ნებისმიერი წაგებიდან დასკვნის გამოტანაა საჭირო. „ენფილდ როუდზე“ დაშვებული შეცდომები აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ, თორემ უეფას თასის გათამაშება როიმ დაიწყება, იქ მეორე შანს არავინ მოგცემს“.

აგვისტოში პარმელებს კიდევ ორი თამაში აქვთ დაგეგმილი. ამჯერად ესპანურ გუნდებთან, „სარაგოსასთან“ და „ვალენსიასთან“. მწვრთნელს, ალბერტო მალესანის ძვირად შეძენილი ფეხბურთელების მორიგი გასინჯვისა და მათგან ერთიანი გუნდის შეკვრის მორიგი შესაძლებლობა მიეცემა, თუმცა ამთავითვე ნათელია, რომ მოახლოებულ გრძელ სეზონში რიგრიგობით ყველა ფეხბურთელს მიეცემა თავის გამოჩენის საშუალება.

„ეს სულაც არ არის პრობლემა“ — ამბობს სარტორი — „პირიქით, ეს ძალიან კარგია. დღევანდელ ფეხბურთში გუნდებს ბევრი თამაში უწევთ და თუ მოთამაშეები მრავლად არ გყავს, გაძლება ძალიან ძნელია. ეს ყველა ფეხბურთელს კარგად ესმის და ამიტომაც, როდესაც მწვრთნელი შემადგენლობას მალიმალ ცვლის, საწინააღმდეგო არავის აქვს.

„პარმაში“ ამ მხრივ საქმე კარგადაა. მოთამაშეთა ძალიან კარგი ჯგუფი გვყავს და მარათონისაც არ გვეშინია. პირიქით, ყველა დიდ გამარჯვებებზე ფიქრობს. ეჭვი არაა, სერია A-ში „პარმა“ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იქნება. მართალია, წინ სერიოზული სამუშაო გველის, მაგრამ საძირკველი თქვენს წინაშეა“.

ამრიგად მოთამაშეები მომავალს იმედით უყურებენ, პრესა კი იჭვნეული თვალით იცქირება ჰორიზონტისკენ და ამბობს, რომ „პარმას“ ამბიციას დიდი გამოცდა ელის.

რაც შეეხება სარტორს, ფაქტია, რომ იგი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას შარშანდელსა და შარშანწინდელზე მეტად შეეცდება — რაც „ინტერიდან“ „პარმაში“ გადავიდა, ორ სეზონში მხოლოდ 29 შეხვედრაში გაიყვანეს მოედანზე.

„ძირითადში სათამაშოდ მზად ვარ. ამაში მაშინაც დარწმუნებული გახლდით, როდესაც სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და სხვათა ოსტატობას იქიდან ვაკვირდებოდი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მალესანიმ გვითხრა, მუდმივი ძირითადი შემადგენლობა არ მეყოლებაო. მისი მეკერა. ესე იგი, ყველას ერთნაირი შანსი გვაქვს“.

თარგმნა პაპუნა კედია

გამოცხადებული 1:1-ის ქრონიკა

გუშინდელ „სარბიელში“ იტალიის თასის გათამაშების სისტემას, კალენდარს და წინასწარი ჯგუფური შეჯიბრებიდან გასულთა ვინაობას გაეცნობოდით, მაგრამ მესამე ჯგუფში რაღაც აიმღვრა. კერძოდ: ორგანიზაცია „სანიმ“, რომელიც იტალიური ნიძლავის და ფსონების საქმეს უდგას სათავეში ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტს გაოცებულმა შეატყობინა, რომ ბერგამოს „ატალანტასა“ და „პისტოიეზეს“ შეხვედრამ მონიძლავე საზოგადოების არაბუნებრივი აქტიურობა გამოიწვია. თურმე ამ, ერთი შეხედვით სრულად ჩვეულებრივი თამაშის წინ უამრავმა ადამიანმა შეავსო ქვითარი და უმრავლესობამ ერთი და იგივე ჩაწერა: პირველი ტაიმის ანგარიში 1:0, საბოლოო — 1:1.

ისე ყველაფერი აგიხდეთ, „წინასწარმეტყველებს“ რომ აუხდათ. სერია A-ს გუნდმა „ატალანტამ“ პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში გახსნა, სერია B-ს „პისტოიეზემ“ კი მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაქვითა.

ოლიმპიურმა კომიტეტმა „სანისგან“ მიღებული ცნობა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გადაუგზავნა, ხოლო ფედერაციამ გამოძიება გააჩაღა.

ძალიან დიდი ყოფილა სამყარო

როგორ ჩააღწია გრიპმა რომში

„ლაციომ“ კარლშტადტში, იქაურ გუნდთან 5:1 რომ მოიგო ადრეც მოგახსენეთ და ისიც იქვე დავძინეთ, რომ შვედეთის ეს რაიონი რომაელთა მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის სამშობლოა, დედულეთ-მამულეთი. ერიკსონის მშობლიური ქალაქი, პატარა ტორსბიუ კარლშტადტიდან ორ ნაბიჯშია, თუმცა, როდესაც სვენ გორანმა ეს ორი ნაბიჯი დამოუკიდებლად პირველად გაიარა, მისთვის მთელი სამყარო იქ ეტეოდა. ის მაშინ გულშემატკივარი გახლდათ.

იზრდებოდა ერიკსონი და მასთან ერთად იზრდებოდა მთელი სამყაროც, ხოლო ტორსბიუდან კარლშტადტში ჩასვლა და უკან დაბრუნება ჩვეულებრივ ამბად იქცა. ოღონდ ის ქომაგი აღარ იყო, ერთიხანობა ფეხბურთელი გახლდათ, მერე კი მწვრთნელი.

ბოლოს სამყარო წარმოუდგენლად დიდი გახდა და იმ ამბებიდან 20 წლის თავზე ჭარმაგმა სვენ გორანმა მშობლიურ კუთხეს არც მეტი — არც ნაკლები იტალიის ჩემპიონი „ლაციო“ ჩაუყვანა. გუნდი რომელსაც თავად თავკაცობს.

შეიძრა ნორვეგიის საზღვართან მიფენილი კუთხე, ვარმლანდი. მას საამაყო შვილი ეწვია და თან დღევანდელი მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი ვარსკვლავები აახლა. კარლშტადტის სტადიონს იქაური საზომით ზღვა ხალხი მიაწყდა, დაახლოებით 11-12 ათასი. ამ 11-12 ათასს შორის „ლაციოს“ მწვრთნელის მშობლები, შვილი და ასე განსაჯეთ, სკოლის მასწავლებლებიც კი იყვნენ.

რა საოცრად განსხვავდება ეს ვარმლანდი რომისგან, სადაც ერიკსონი დღეს მოღვაწეობს და პლანეტის მასშტაბის საფეხბურთო მოვლენებში ტრიალებს.

„როგორ ვინარჩუნებ სიმშვიდეს? როგორ და... მე ხომ ვარმლანდიდან ვარ“ — ამბობს ის.

ფეხბურთის თამაში ერიკსონმა მშობლიურ „ი. ფ. ტორსბიუში“ დაიწყო, შვედეთის მეოთხე დივიზიონში. როგორც ახლა ყვებიან ის გამთამაშებელი იყო და ორთავ ფეხს მარჯვედ ხმარობდა, ოღონდ უმაღლეს დონეზე უკაცრავად. შემდეგ ახლომახლო, სხვა გუნდებში მოუსინჯავს ძალა, მაგრამ ზაფხულისა და საშობაო არდადეგებს თურმე აუცილებლად მშობლებთან ატარებდა. შემდეგ, რომ გამდიდრდა, ჯიბეზე ხელი დაუნანებლად გაიკრა და „ი. ფ. ტორსბიუს“ რაღაც-რაღაც კარგი საქმეები გაუკეთა, ხოლო გასულ წელს ეს თითქმის ბერკაცი მათამაშის ფორმაში გამოეწყო და იბურთავა — ქალაქში საცურაო აუზები უნდა აეშენებინათ და საჩვენებელ — გასართობი შეხვედრების შემოსავალი ამ საქმეს მიეძღვნა.

24 წლისა გახლდათ ჩვენი მოკლე წერილის მთავარი გმირი, როდესაც მეგობარმა ტორდ გრიპმა ურჩია, თამაშს თავი დაანებე, ჭკუა გიჭრის და მწვრთნელი გახდიო. დაუჯერა სვენ გორანმა ერთგულ ძმაბიჭს და მერე თავად იცით.

და იმას აღარ იკითხავთ, იმ ერთმა წინადადებამ, ერთმა რჩევამ ის მეგობარი რა ბედსა სწია? ტორდ გრიპი დღეს „ლაციოს“ მწვრთნელის ასისტენტია.

ვარმლნდში კი შვედეთის პირველ ან თუნდაც მეორე დივიზიონში მოთამაშე გუნდი აღარ არის. სამაგიეროდ იქაურებს რომში ჰყავთ ერიკსონი, საამაყო შვილი, რომელსაც სწამს, რომ ადრე თუ გვიან რაიონის რომელიმე წარმომადგენელი აუცილებლად ააღწევს ქვეყნის მთავარ ლიგაში და მერე ადგილსაც დაიმკვიდრებს.

მიხეილ სურგულაძე

სვენ გორან ერიკსონი

სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე-11 მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ახალი ბიურო: გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს“ განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 აგვისტო

518	აშტარაკი (სომხეთი)-რაპიდი (რუმინეთი) 0:3	3,5	3,2	1,9
519	ლოკომოტივი (საქართველო)-სლოვანი (სლოვაკეთი)	ანგარიში -		5,0
520	გორიცა (სლოვენია)-ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 0:1	1,25	5,0	9,0
521	ბუდუჩნოსტი (ბოსნია)-დრნოვიცე (ჩეხეთი) 0:3	2,4	3,0	2,7
522	ვისლა (პოლონეთი)-უელეზნიჩარი (ბოსნია) 0:0	1,5	3,5	6,0
523	ტეუტა (ალბანეთი)-რაპიდი (ავსტრია) 0:2	4,0	3,1	1,8
524	პობედა (მაკედონია)-უნივერსიტატია (რუმინეთი) 1:1	2,4	3,0	2,7
525	კოშიცე (სლოვაკეთი)-არარატი (სომხეთი) 3:2	1,15	6,0	12,0
526	ცსკა (ბულგარეთი)-კონსტრუქტორული (მოლდოვა) 3:2	1,2	5,6	10,0
527	ბეითარი (ისრაელი)-ვიტ ჯორჯია (საქართველო)	ანგარიში -		5,0
528	მაკაბი (ჰაიფა/ისრაელი)-სლავია (ბელარუსი) 1:1	1,45	3,0	7,5
529	ტულევიკი (ესტონეთი)-ნაპრედაკი (იუგოსლავია) 1:5	3,5	3,0	2,0
530	აპოელი (კვიპროსი)-ტომორი (ალბანეთი) 3:2	1,3	4,4	8,0
531	პარტიზანი (იუგოსლავია)-სლიმა (მალტა) 1:2	1,1	7,0	15,0
532	ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი)-ომონია (კვიპროსი) 0:0	1,9	2,9	4,0
533	ვადუცი (ლიხტენშტაინი)-ამიცა (პოლონეთი) 0:3	7,5	4,0	1,25
534	იოკერიტი (ფინეთი)-მტკ (უნგრეთი) 0:1	2,3	3,0	2,9
535	ლილესტრ. (ნორვეგია)-გლენტორანი (ჩ.ირლანდია) 3:0	1,2	5,6	10,0
536	ანთალია (თურქეთი)-ქიაფაზი (აზერბაიჯანი) 2:0	1,15	6,0	12,0
537	ბრანი (ნორვეგია)-მეტალურგსი (ლატვია) 1:1	1,15	6,0	12,0
538	გომელი (ბელარუსი)-აიკ (შვედეთი) 0:1	3,6	3,1	1,9
539	კორკი (ირლანდია)-ლოზანა (შვეიცარია) 0:1	3,4	3,1	2,0
540	ნორჩიოპინგი (შვედეთი)-გოტუ (ფარერები) 1:0	1,05	9,0	18,0
541	ჰალმსტადი (შვედეთი)-ბანგორი (უელსი) 7:0	1,02	12,0	18,0
542	იორგრიტე (შვედეთი)-კოლრეინი (ჩრდ.ირლანდია) 2:1	1,15	6,00	12,0
543	ბაზელი (შვეიცარია)-ფოლგორი (სან მარინო) 5:1	1,01	12,0	22,0
544	რუხი (პოლონეთი)-ჟალგირისი (ლიტვა) 1:2	1,35	4,0	7,5
545	გენტი (ბელგია)-აკრანესი (ისლანდია) 3:0	1,15	6,0	12,0
546	ოლიმპია (სლოვენია)-შერიფი (მოლდოვა) 0:0	1,25	5,0	9,0
547	გრევენმახერი (ლუქსემბურგი)-ჰიკ (ფინეთი) 1:4	5,0	3,4	1,6
548	ლიერსი (ბელგია)-ეკრანასი (ლიტვა) 3:0	1,2	5,6	10,0
549	რაბოტნიჩკი (მაკედონია)-ვორსკლა (უკრაინა) 0:2	2,3	3,0	2,9
550	ტორსჰაგენი (ფარერები)-აკადემისკი (დანია) 0:8	6,5	4,0	1,3
551	ვალეტა (მალტა)-რიეკა (ხორვატია) 2:3	4,2	3,3	1,6
552	რაიო ვალეკანო (ესპანეთი)-კონსტელაჩიო (ანდორა) 10:0	1,01	12,0	22,0
553	ბერი (უელსი)-ბოავიშტა (პორტუგალია) 0:2	7,5	4,0	1,35
554	სელტიკი (შოტლანდია)-ჟენესი (ლუქსემბურგი) 4:0	1,02	12,0	18,0
555	ვაშაში (უნგრეთი)-ვენტსპილსი (ლატვია) 1:2	1,25	5,0	9,0
556	ბოჰემიანსი (ირლანდია)-აბერდინი (შოტლანდია) 2:1	3,2	3,0	2,0
557	ჰართსი (შოტლანდია)-ვესტმანაეიარი (ისლანდია) 2:0	1,15	6,0	12,0

ეტაპზე გასვლა (მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე)

უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები

24 აგვისტო

718	აშტარაკი (სომხეთი)	-25,0	რაპიდი (რუმინეთი)	——
719	ლოკომოტივი (საქარ.)	——	სლოვანი (სლოვაკეთი)	——
720	გორიცა (სლოვენია)	-1,25	ნეფთჩი (აზერბაიჯანი)	-2,0
721	ბუდუჩნოსტი (ბოსნია)	-10,0	დრნოვიცე (ჩეხეთი)	-1,01
722	ვისლა (პოლონეთი)	-1,1	ჟელეზნიჩარი (ბოსნია)	-3,5
723	ტეუტა (ალბანეთი)	-10,0	რაპიდი (ავსტრია)	-1,01
724	პობედა (მაკედონია)	-1,5	უნივერსიტატია (რუმ.)	-1,8
725	კოშიცე (სლოვაკეთი)	-1,01	არარატი (სომხეთი)	-15,0
726	ცსკა (ბულგარეთი)	-1,01	კონსტრუქტ.(მოლდ.)	-10,0
727	ბეითარი (ისრაელი)	——	ვიტ ჯორჯია (საქარ.)	——
728	მაკაბი (ჰ/ისრაელი)	-1,05	სლავია (ბელარუსი)	-5,0
729	ტულევიკი (ესტონეთი)	-25,0	ნაპრედაკი (იუგოსლ.)	——
730	აპოელი (კვიპროსი)	-1,01	ტომორი (ალბანეთი)	-7,5
731	პარტიზანი (იუგოსლ.)	-1,05	სლიმა (მალტა)	-2,8
732	ნეფტოხიმიკი (ბულგ.)	-1,3	ომონია (კვიპროსი)	-2,5
733	ვადუცი (ლიხტენშტ.)	-50,0	ამიცა (პოლონეთი)	——
734	იოკერიტი (ფინეთი)	-2,5	მტკ (უნგრეთი)	-1,25
735	ლილესტრ. (ნორვეგია)	——	გლენტორანი (ჩ.ირლ.)	-50,0
736	ანთალია (თურქეთი)	——	ქიაფაზი (აზერბაიჯ.)	-50,0
737	ბრანი (ნორვეგია)	-1,05	მეტალურგსი (ლატვ.)	-4,0
738	გომელი (ბელარუსი)	-4,0	აიკ (შვედეთი)	-1,05
739	კორკი (ირლანდია)	-3,5	ლოზანა (შვეიცარია)	-1,1
740	ნორჩიოპინგი (შვედ.)	——	გოტუ (ფარერები)	-15,0
741	ჰალმსტადი (შვედეთი)	——	ბანგორი (უელსი)	-50,0
742	იორგრიტე (შვედეთი)	——	კოლრეინი (ჩრდ.ირლ.)	-15,0
743	ბაზელი (შვეიცარია)	——	ფოლგორი (სან მარ.)	-50,0
744	რუხი (პოლონეთი)	-1,2	ჟალგირისი (ლიტვა)	-2,5
745	გენტი (ბელგია)	——	აკრანესი (ისლანდია)	-50,0
746	ოლიმპია (სლოვენია)	-1,1	შერიფი (მოლდოვა)	-3,0
747	გრეენმახერი (ლუქს.)	-25,0	ჰიკ (ფინეთი)	——
748	ლიერსი (ბელგია)	——	ეკრანასი (ლიტვა)	50,0
749	რაბოტნიჩკი (მაკედ.)	-4,0	ვორსკლა (უკრაინა)	-1,05
750	ტორსჰაგენი (ფარერ.)	-50,0	აკადემისკი (დანია)	——
751	ვალეტა (მალტა)	-3,0	რიეკა (ხორვატია)	-1,1
752	რაიო ვალეკანო (ესპ.)	——	კონსტელაჩიო (ანდ.)	50,0
753	ბერი (უელსი)	-10,0	ბოავიშტა (პორტუგ.)	-1,01
754	სელტიკი (შოტლანდ.)	——	ჟენესი (ლუქსემბურგი)	-50,0
755	ვაშაში (უნგრეთი)	-1,15	ვენტსპილსი (ლატვია)	-2,5
756	ბოჰემიანსი (ირლანდ.)	-1,2	აბერდინი (შოტლან.)	-2,3
757	ჰართსი (შოტლანდია)	——	ვესტმანაეიარი (ისლ.)	-15,0

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, ნაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ბასკომ ყველაზე მაღალი ქართველი აიყვანა

საქართველოს ჩემპიონი ბათუმის „ბასკო“ ყველაზე მეტად აქტიურობს ქართულ სატრანსფერო ბაზარზე. ბათუმელები აგრძელებენ შემადგენლობის დაკომპლექტებას და ამ დღეებში ახალი მოთამაშე აიყვანეს: საქართველოს კადეტთა ნაკრების ცენტრი სერგო ათუაშვილი ოფიციალურად გახდა ბასკოელი.

ათუაშვილი 15 წლისაა, გორელია და კალათბურთში წლეულს გამოჩნდა. თებერვალში არმიის სპორტული კლუბის გუნდში მივიდა და სეზონიც იქვე ჩაამთავრა. მან საქართველოს კადეტთა ნაკრების მწვრთნელის მერაბ ცირეკიძის ყურადღება დაიმსახურა და მის გუნდში მოხვდა. ათუაშვილი ბულგარეთში, ევროპის კადეტთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე იმყოფებოდა, სადაც საქართველოს ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა და შესარჩევ ეტაპზე გავიდა.

სინორჩის მიუხედავად, ათუაშვილი უკვე გამორჩეული კალათბურთელია — იგი 218 სანტიმეტრია. ამ სიმაღლის მოთამაშე კი ქართულ კალათბურთს ჯერ არ ჰყოლია.

რაც შეეხება თავად „ბასკოს“. გუნდმა ურეკში შეკრება დაამთავრა და ახლა ბათუმში ვარჯიშობს. მომავალი სეზონისთვის მზადებას ჩემპიონები საკონტროლო მატჩებით გააგრძელებენ. არ არის გამორიცხული, რომ „ბასკომ“ რამდენიმე შეხვედრა საზღვარგარეთაც ითამაშოს.

თითო დეკადაში თითო პირველი ნომერი

„ნიუ ჯერსი ნეთსმა“ დაასრულა მოლაპარაკება წლევანდელი დრაფტის პირველ ნომერთან, ფორვარდ კენიონ მარტინთან და დღეს კონტრაქტს გაუფორმებს. „ნეთსი“ გამართავს რესკონფერენციას, სადაც საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგენს მარტინს. ცერემონიალს „ნიუ ჯერსის“ ახალი პრეზიდენტი როდ თორნი და ახალი მწვრთნელი ბაირონ სკოტი დაესწრებიან. წინასწარი ინფორმაციით, მარტინის კონტრაქტი სამწლიანი იქნება. კალათბურთელი ამ ხანში სულ მცირე 9,3 მილიონ დოლარს, ხოლო ყველაზე მეტი 11,2 მილიონ დოლარს მიიღებს.

2000 წლის დრაფტის პირველი ნომერი კენიონ მარტინი და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარი დევიდ შტერნი

მარტინმა ოთხი წელი გაატარა ცინცინატის ურნივერსიტეტში. შეტევაში აგრესიული არასდროს ყოფილა, სამაგიეროდ გამოირჩეოდა კარგი დაცვით და ფარზე ძლიერი თამაშით. ბოლო სტუდენტურ სეზონში მისი საშუალო მაჩვენებლები 18,9 ქულა და 9,7 მოხსნა იყო. გაზაფხულზე მარტინმა ფეხი მოიტეხა, მაგრამ „ნიუ ჯერსიმ“ მაინც აიყვანა იგი, რადგან დარწმუნდა, რომ კალათბურთელი მალე სრულიად განიკურნებოდა. მარტინმა არ ითამაშა „ნეთსში“ საზაფხულო ლიგის მატჩები, სამაგიეროდ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა.

მარტინი „ნიუ ჯერსის“ ისტორიაში მეორე კალათბურთელი იქნება, ვინც დრაფტის პირველ ნომრად აურჩევიათ. მანამდე ასეთი ფორვარდი დერიკ კოულმენი იყო, რომელიც „ნეთსში“ 1990 წელს მივიდა.

მაიკლ ჯორდანმა ვაჭრობა დაიწყო

„ვაშინგტონ ვიზარდსის“ პრეზიდენტმა, ლეგენდარულმა მაიკლ ჯორდანმა თავისი პირველი ვაჭრობა განახორციელა. მან „ვანკუვერ გრიზლიზში“ გაგზავნა ცენტრი აიკ ოსტინი და სანაცვლოდ ოთხი კალათბურთელი: ფორვარდი დენის სკოტი, ცენტრები ჩეროკი პარკსი, ობინა ეკეზიე და უკანახაზელი ფელიპე ლოპესი მიიღო. ბოლოდროინდელი მრავალგუნდიანი და მრავალმოთამაშიანი გარიგებების ფონზე, „ვაშინგტონ“ — „ვანკუვერის“ ვაჭრობა საბავშვო თამაშს უფრო ჰგავს.

ვაჭრობის მთავარი პერსონაჟი აიკ ოსტინია. მან შარშან დაკარგა ადგილი „ვაშინგტონის“ სასტარტო ხუთეულში, რითაც ერთობ უკმაყოფილო იყო. 31 წლის ოსტინი 1991 წელს მივიდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. უთამაშია „მაიამი ჰითში“, „ლოს ანჯელეს კლიპერსში“, „ორლანდო მეჯიქში“ და „ვაშინგტონ ვიზარდსში“. 1998 წელს იგი სეზონის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე გახდა. იმავე წელს მან სამწლიანი და 15-მილიონიანი კონტრაქტი დაუდო „ორლანდოს“, მაგრამ სამივე სეზონის დაწყება ახალ გუნდში მოუწია. „ვიზარდსში“ ოსტინმა ერთი წელი გაატარა. თავიდან არა უშავდა, მაგრამ მერე სასტარტო ხუთეულიდან ჯაჰიდი ვაითმა ამოაგდო. ოსტინმა „ვაშინგტონში“ 59 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 6,7 და 4,8 მოხსნა გააკეთა. კალათბურთელმა გაცვლა მოითხოვა და საწადელსაც მიაღწია. საინტერესოა, რომ „ვაშინგტონში“ ოსტინი ოთხი კალათბურთელის სანაცვლოდ მოვიდა — „ორლანდომ“ მის მაგიერ ტერი დევისი, ტიმ ლეგლერი, ჯეფ მაკინისი და ბენ ვოლესი მიიღო. ვაჭრობის სულისჩამდგმელი, მაიკლ ჯორდანი კმაყოფილია: „ეს გაცვლა-გამოცვლა ყველასთვის კარგია. ჩვენ მივიღეთ სამი ახალგაზრდა და ხარისხიანი მოთამაშე, აგრეთვე შესანიშნავი ვეტერანი ბომბარდირი. ოსტინიც „ვანკუვერში“ ახალ ცხოვრებას დაიწყებს და მეტად გამოავლენს თავის შესაძლებლობებს“. არც „ვანკუვერის“ პრეზიდენტი დიკ ვერსჩეა უკმაყოფილო: „ოსტინზე თვალი კარგა ხანია მიჭირავს. როგორც კი შევიტყვე, რომ მას „ვაშინგტონში“ ყოფნა აღარ სურდა, მაშინვე დავიწყე მუშაობა მის გადმოსაყვანად. აიკს ძველებურად თამაში სურს და ჩვენთან იგი ამას მოახერხებს“.

„ვაშინგტონში“ მისულებიდან ყველაზე გამოცდილია დენის სკოტი. მას ათი წელი გაუტარებია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და ლიგის ორი რეკორდი ეკუთვნის: ერთ სეზონში 267 სამქულიანი ჩააგდო, ხოლო ერთ მატჩში — თერთმეტი. „ვიზარდსი“ სკოტის მეშვიდე გუნდი იქნება, მანამდე მას „ორლანდოს“, „დალასის“, „ფინიქსის“, „ნიუ იორკის“, „მინესოტას“ და „ვანკუვერის“ ღირსება დაუცავს.

211-სანტიმეტრიანი ჩეროკი პარკსი 1995 წლის დრაფტში მეთერთმეტე ნომრად აირჩია „დალას მავერიქსმა“. წინა სეზონში მან მატჩში საშუალოდ 3,0 ქულა მოუტანა „გრიზლიზს“. ფელიპე ლოპესი 1998 წლის დრაფტში „სან ანტონიო“ სფურზმა აიყვანა, მაგრამ იმავე დღეს გაუცვალა „ვანკუვერს“. შარშან მისი საშუალო შედეგიანობა 4,5 ქულა იყო. ობინა ეკეზიე კი „ვანკუვერის“ 1999 წლის დრაფტის რჩეულია. 39 მატჩში მან საშუალოდ 3,2 ქულა გააკეთა.

სტივენსონი უბრალოა

„იუტა ჯაზის“ 19 წლის აბალბედა უკანახაზელი დეშონ სტივენსონი სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. შეგახსენებთ, რომ დრაფტში არჩევის დღეს, 28 ივნისს, სტივენსონმა მონაწილეობა მიიღო ჯგუფურ ჩხუბში, რომელიც მისი მშობლიური ქალაქის ერთ-ერთ სკოლაში, საკალათბურთო მატჩის მერე გაიმართა. თავად კალათბურთელი სასამართლოს არ დასწრებია, მის ინტერესებს ადვოკატი რიკ ბერმანი იცავდა.

ოკკაციან ჩხუბში ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ფრესნოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფეხბურთელი, 18 წლის კრის სიმსი. მას ბრალად ედება საჯარო ადგილას ჩხუბის წამოწყება, დაკავების დროს წინააღმდეგობის გაწევა და ცივი იარაღის, კერძოდ კი სამართებლის გამოყენება. სიმსს ორი წელი და სამი თვე პატიმრობა ელის, ამასთან ერთად 2 400 დოლარის ჯარიმის სახით გადახდაც მოუწევს. სიმსს განაჩენს 11 სექტემბერს გამოუტანენ.

21-22 აგვისტო

ბოსტონ სელტიქსი: აიყვანა უკანახაზელი კრის კარი (ჩიკაგოდან).
შარლოტ ჰორნეთსი: აიყვანა ფორვარდი დერინ ჰენკოკი (უგუნდო).
ატლანტა ჰოქსი: აიყვანა უკანახაზელი ენტონი ჯონსონი (ორლანდოდან).

ჯო დუმარსმა სტეფანია სიეტლში დატოვა

გარიგება ჩაიშალა, მოლაპარაკება გრძელდება

ერთი სიტყვა და ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიდესი გარიგება გაიჩარხებოდა. შეიკრიბნენ ოთხი გუნდის წარმომადგენლები, შეადგინეს პროექტი და ცამეტი კალათბურთელისთვის ახალი გუნდები გამოძებნეს. „სიეტლ სუპერსონიქსის“, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ და „ნიუ იორკ ნიქსის“ ხელმძღვანელებს ყველაფერი აკმაყოფილებდათ. საქმის ბოლომდე მისაყვანად მათი დეტროიტელი კოლეგის თანხმობაღა იყო საჭირო. „დეტროიტ პისტონზის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯო დუმარსმა კი უარი თქვა და გარიგება ჩაშალა. ეს სწორედ ის ჯო დუმარსია, წარსულის დიდი მოთამაშე, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონი, რომელიც თავის დროზე მოედანზეც ასევე შლიდა მეტოქის შეტევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ოუენსის მეშვიდე მოგზაურობა

ოთხგუნდიანი და ცამეტმოთამაშიანი გარიგების ჩაშლის შემდეგ „დეტროიტ პისტონზმა“ მარტივი ვაჭრობა მოახდინა. გუნდმა „მილუოკი ბაქსს“ მისცა გამთამაშებელი ლინდსი ჰანტერი და მის სანაცვლოდ ფორვარდი ბილი ოუენსი მიიღო.

ბილი ოუენსი 31 წლისაა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ცხრა წელი გაუტარებია. წინა სეზონში იგი „გოლდენ სტეიტ ვორიორზში“ იყო და 61 მატჩში საშუალოდ 6,0 ქულა და 4,8 მოხსნა გააკეთა. სტუდენტობისას სირაკუზის უნივერსიტეტში თამაშობდა, ხოლო პროფესიული კარიერა 1991 წელს დაიწყო — „გოლდენ სტეიტმა“ დრაფტში მესამე ნომრად აირჩია. ამავე გუნდში გაატარა ოუენსმა თავის საუკეთესო, 1992-1993 წლების სეზონი, როცა მატჩში საშუალოდ 16,5 ქულას აგროვებდა. მერე კი დაიწყო კალათბურთელის გაუთავებელი მოგზაურობები კლუბიდან კლუბში: მოიარა „მაიამი ჰითი“, „საკრამენტო კინგზი“, „სიეტლ სუპერსონიქსი“, კვლავ „გოლდენ სტეიტი“. წინა სეზონის დამთავრების შემდეგ, სამგუნდიანი გაცვლის შედეგად, ოუენსი „მილუოკი ბაქსში“ აღმოჩნდა. ეს 27 ივნისს მოხდა. არ გასულა ორი თვეც და ვეტერანმა კალათბურთელმა ახალი ნავსაყუდელი იპოვა — „დეტროიტ პისტონზი“, მისთვის რიგით მეშვიდე გუნდი.

ოუენსთან შედარებით ლინდსი ჰანტერი შინ გამოკეტილ კაცად მოგეჩვენებათ. იგი 1993 წლის დრაფტში მეათე ნომრად აიყვანა „დეტროიტმა“ და შვიდი სეზონის განმავლობაში ამ გუნდს ერთგულობდა. ჰანტერი „პისტონზის“ ძირითადი გამთამაშებელი იყო და წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 12,7 ქულას და 4,0 პასს აკეთებდა. „ლინდსი შესანიშნავი სნაიპერი და კარგი დამცველია. მას გამთამაშებლადაც და მსროლელადაც შეუძლია თამაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. იგი ჩვენთან კარიერის პიკში გადმოვიდა“ — ამბობს „მილუოკის“ გენერალური მენეჯერი ერნი გრიუნფელდი. 29 წლის ჰანტერი „ბაქსში“, სავარაუდოდ, გამთამაშებელ სემ კასელს შეეწყვილება.



ბილი ოუენსი

კრივი



მიჩ ჰალპერნი ნოკაუტებს ველარ დათვლის

ალბათ, გაუვარდა

ლას ვეგასში, საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს დღევანდელი კრივის ერთ-ერთი საუკეთესო რეფერი მიჩ ჰალპერნი. ჰალპერნი 33 წლისა იყო და იმსაჯა 87 საჩემპიონო ორთაბრძოლა, ამათ შორის კი ყველაზე ხმაურიანნიც: დე ლა ჰოია-ტრინიდადი, ტაისონ-ჰოლიფილდ I და ჰოლიფილდ-ლუისი II.

პოლიცია აცხადებს, რომ ჰალპერნმა ან თავი მოიკლა, ანაც იარაღი შემთხვევით გაუვარდა. ნევადის შტატის ათლეტთა კომისია საგანგებო წერილით გამოეთხოვა განთქმულ რეფერის და მას არა მარტო დიდი გამსჯელი, არამედ „საუცხოო და თბილი ადამიანი“ უწოდა.

დამნაშავე ხარ!

დაჯარიმებულ ტაისონს პრომოუტერიც გაექცა

ბრიტანეთის კრივის კონტროლის კომისიამ დამნაშავედ სცნო მაიკ ტაისონი ლუ სავარეზეს წინააღმდეგ ბინძური ილეთებით ბრძოლაში და 185 ათასი დოლარით დააჯარიმა. თუმცა, კომისიამ არ ჩამოართვა ამ გიჟმაჟს ბრიტანეთის ტერიტორიაზე კრივობის უფლება.

ამა წლის ივნისში გლაზგოს „ჰემპდინ პარკზე“ მსაჯის ნიშნის შემდეგ სავარეზეს ცემა და მსოფლიო ჩემპიონ ლენოქს ლუისის „გულისა და შვილების შეჭმის“ შესახებ ბლუკუნი ტელეკამერების წინ, საკმარისი აღმოჩნდა, რომ კომისიას სარეკორდო ჯარიმა მოეთხოვა ტაისონისგან.

თავად მოკრივე საქმის გარჩევას არ დასწრებია — შეატყობინეს, რომ თუ ექვსი კვირის განმავლობაში არ გადაიხდი ჯარიმას, საკრივო ლიცენზიას ჩამოგართმევთო.

„მან უნდა დაფაროს კომისიის მომსახურეთა საქმიანობის ხარჯებიც. მის გამო ჩვენმა მუშაკებმა გარკვეული სამუშაო გასწიეს. ასე რომ, ათასი გირვანქა დამატებით უნდა გაიღოს“ — თქვა კომისიის თავმჯდომარემ, ლორდმა ბრუქსმა.



მაიკ ტაისონი

ლონდონში მყოფმა პრომოუტერმა ფრენკ უორენმა კი, ვინც ტაისონის ორივე ბრიტანული ჩხუბი მოაწყო, განაცხადა, რომ აღარ აპირებს მოკრივესთან საქმის დაჭერას.

ალბერტ ხაჩატურიშვილი

ჩოგბურთი

იყო თუ არა?

სწორი პასუხისთვის მიაკითხეთ ნორვეგიელებს

რაც ჩოგბურთი არსებობს, ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ დიდსა თუ მცირე ტურნირზე, განურჩევლად საფარისა, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ბურთის კორტის ფარგლებში ჩავარდნა-არჩავარდნაა. მატჩი არ გავა, რომელიმე ჩოგბურთელი ერთხელ მაინც არ აღშფოთდეს გვერდითი მსაჯის გადაწყვეტილებით, თავი უსამართლოდ დაჩაგრულად არ იგრძნოს, ოფიციოზს არ წაეკამათოს და ნერვები სამართლიანად ან სულ ტყუილუბრალოდ არ აიშალოს.

ზოგჯერ, როგორც მაგალითად ჯონ მაკინროის ან ჯეფ ტარანგოს შემთხვევაში, მსაჯებთან დავა მთელი ხელოვნების დონეზეა აყვანილი, ლანძღვაგინებით უხვადაა გაჯერებული და მიზნად მეტოქის წყობიდან გამოყვანასაც ისახავს.

მოკლედ, ბევრისთვის საბედნიეროდ და უჟმური უმცირესობისთვის სამწუხაროდ, გაისიდან მოყოლებული ჩოგბურთში შეიძლება ახალი, სრულყოფილი მსაჯობის კომპიუტერული სისტემა შემოიღონ, რომელიც შეცდომებს 100 პროცენტით გამორიცხავს.

რევოლუციურისა და ჯერარგაგონილის ავტორები, ყველასდა გასაკვირად, ისეთი არასაჩოგბურთო ქვეყნიდან არიან, როგორიც ნორვეგიაა, კერძოდ კი ოსლოში დაფუძნებული კომპანია „აკუ ქოლი“.

„თუ შენ გვერდითი მსაჯი ხარ და მოწოდება შენსკენ 215 კმ/სთ სიჩქარით მოქრის, ადამიანის თვალისთვის უბრალოდ შეუძლებელია იმის დანახვა, ბურთი ხაზის შიგნით იყო, თუ გარეთ. ჩვენ კი ჩოგბურთელებს შესაძლებლობას მივცემთ, მთელი ყურადღება თამაშზე გადაიტანონ და მსაჯების მხედველობაზე ნაკლებად იფიქრონ“ — ეს კომპანიის ხელმძღვანელის ჰანს ტორმოდ ჰენსენის სიტყვებია.

„აკუ ქოლის“ მიერ შემუშავებული სისტემა ასე მუშაობს: მთელ კორტზე, უფრო ზუსტად კი ხაზებზე, მათგან 5 სანტიმეტრით შიგნით და 35 სანტიმეტრით გარეთ წვრილი სპილენძის სენსორები იქნება ჩამონტაჟებული.

კორტზე ბურთის ყოველი დავარდნისას კომპიუტერი მის ზუსტ ადგილმდებარეობას დააფიქსირებს, რომელიც იმავ წამს ყურსასმენმორგებულ გვერდითა მსაჯებს და სატელევიზიო ეკრანებს გადაეცემა. შესაძლებელი იქნება დაწვრილებითი ინფორმაციის მიღებაც, მაგალითად, ბურთი 73 პროცენტით შიგნით იყო, თუ გარეთ.

როგორც ფიქრობენ, ახალი სისტემის დაყენება კორტების მოწყობის ფასს 10-15 პროცენტით გაზრდის, თუმცა მაყურებლებისა და მოთამაშეების სიმშვიდე გაცილებით მეტიც ღირს.

ახალი სისტემის ერთადერთი სუსტი წერტილი ის არის, რომ იგი მხოლოდ ჰარდის საფარისთვის არის გამოსადეგი და თიხნარსა და ბალახს არ ერგება, თუმცა ამჟამად მოქმედ „ციკლოპის“ სისტემას მაინც ყველა ასპექტში სჯობს.

ეს სიახლე ჯერჯერობით ოსლოში გაივლის გენერალურ რეპეტიციებს, ნოემბერში კი საბრძოლო ნათლობას ATP ტურზე, სტოკჰოლმის ღია პირველობაზე მიიღებს.

რაფტერს ჰამლეტი გამოცდის

ნიუ იორკი. აშშ. „ჰამლეტის თასი“.
ჰარდი.
საპრიზო 450 ათასი $

ნიუ იორკში მიმდინარე აშშ-ის ღია პირველობის უკანასკნელ სარეპეტიციო ტურნირს, „ჰამლეტის თასი“ მავანი მამინაცვლის მკვლელი გმირის პატივსაცემად ჰქვია თუ რომელიმე ჩვენში ნაკლებად ცნობილი ფირმა — სპონსორის ხათრით, ვერ გეტყვით. სამაგიეროდ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პირველობის ყველაზე ცნობილი მონაწილისთვის უახლოეს დღეებში ყოფნა-არყოფნაზე არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვებს გაეცემა პასუხი.

1997-98 წლებში პატრიკ რაფტერი ჰარდის ნამდვილ მეფედ ითვლებოდა და საყვარელ საფარზე ჩრდილოეთ ამერიკაში გამართულ ტურნირებზეც შესაშური სტაბილურობითა და ხალისით თამაშობდა.

ყველაფერი შარშან შეიცვალა, კიკინიანმა ავსტრალიელმა მხრის უმძიმესი ტრავმა მიიღო, ოპერაცია გაიკეთა და ნახევარი წლით ჩამოშორდა დიდ სპორტს. „მხარი ახლაც ხშირად მწიწკნის, ამიტომ იძულებული ვარ, რაც შეიძლება, ნაკლები ვითამაშო. სიმართლე გითხრათ, მეგონა, ოპერაციის შემდეგ საერთოდ ველარსად ვიასპარეზებდი“.

რაფტერმა წლეულს უიმბლდონზე ფინალში გაღწევა მაინც მოახერხა, თუმცა ელიტაში დაბრუნებულად თავს მაინც არ მიიჩნევს და შეზღუდული გრაფიკის გამო კლასიფიკაციაშიც ვერ იბრუნებს ძველ სიმაღლეებს. შედეგად „ოუფენის“ ორგზის ჩემპიონი, ამჯერად „ფლაშინგ მედოუსზე“ განთესილიც არ არის. „ეს სულაც არ მიკვირს, ორგანიზატორებმა კლასიფიკაციით ისარგებლეს. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, კენჭისყრის დროს მაინც იღბალზეა ბევრი რამ დამოკიდებული“.

პატრიკ რაფტერი

ავსტრალიელს მხარმა ახლახან კვლავ შეახსენა თავი და გასული ორი კვირაც გაუცდა, ამიტომ საყვარელი ტურნირისთვის ხეირიანად მოსამზადებლად მხოლოდ „ჰამლეტის თასიღა“ დარჩა.

მეორე წრის შეხვედრაში (პირველიდან განთესილები გათავისუფლებულები იყვნენ) ავსტრიელ შტეფან კუბეკთან რაფტერმა საკუთარ თავს გამძლეობაში ნამდვილად გამოცდა მოუწყო — მატჩი თითქმის სამ საათს გრძელდებოდა.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს მეორე სეტში სულ მცირედა აშორებდა წაგებას, მაგრამ 4:5-ზე მოახერხა, მეტოქისთვის მოწოდება აერთმია, თამაშში გარდატეხა შეიტანა და საბოლოოდ 6:7 (3:7), 7:5, 7:6 (10:8) იმარჯვა.

„იმედი მქონდა, ადრე თუ გვიან, შანსი მეც მომეცემოდა და გამიმართლა. მოხარული ვარ, რომ მხარს ერთხელაც არ შევუწუხებივარ. ასეთ შეხვედრას თუ ვერ გავუძლებდი, „ოუფენზე“ ხუთსეტიან მატჩებში რაღა მეშველებოდა“ — აღნიშნა რაფტერმა.

პირველი წრე. კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 3:6, 7:6 (7:3), 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 6:3

მეორე წრე. ხუან კარლოს ფერერო (6, ესპანეთი) — ალექსანდრ პოპი (გერმანია) 3:6, 6:4, 6:2; **იუნეს ელ აინაუი** (8, მაროკო) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 7:6 (7:5), 6:3; **რიჩარდ კრაიჩეკი** (11, ჰოლანდია) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:4, 6:1; **ფაბრის სანტორო** (12, საფრანგეთი) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი 7:5, 4:6, 6:3; **ჟან-მაიკლ გემბილი** (14, აშშ) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:6 (7:5), 7:5; **ერიკ ტაინო** (აშშ) — ქარიმ ალამი (16, მაროკო) 4:6, 6:3, 6:3

ავთანდილ სვანიძე

ვაი, თითი!

კრიბმა კბილი აილესა

რონ კრიბი

გასულ შაბათს, სამი ერის პირველობაზე სამხრეთ აფრიკამ ახალი ზელანდია 46:40 დაამარცხა და ჩემპიონობა ერთობ საეჭვო გაუხდა. „ქურციკთა“ მთავარ მწვრთნელ ნიკ მალეტს თამაში იმდენად მოეწონა, მისი ვიდეოჩანაწერის ხილვა მეორე დღესვე ისურვა და ერთ მომენტში სტუმართა ერთ-ერთი მორაგბის უღირსი საქციელიც შეამჩნია. გუშინწინ მალეტმა განაცხადა: ახალზელანდიელმა რონ კრიბმა სამხრეთაფრიკელ ვერნერ სვანეპუელს თითზე უკბინაო.

„ქურციკთა“ თავკაცებმა შეტევაზე გადასვლის დიპლომატიური ტონი არჩიეს და თქვეს, რომ „ინციდენტი შემთხვევით მოხდა.“ ერთ-ერთი სამხრეთაფრიკული გაზეთის პირველ გვერდზე სვანეპულის ფოტოც დაიბეჭდა, ნაკბენ თითს რომ დაჭყურებდა. „რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ მსგავსი საქციელით. უკვე დავურეკე უეინ სმიტს (ახალი ზელანდიის მთავარ მწვრთნელს) და ველაპარაკე კიდეც. გადავწყვიტე, კრიბის დასჯა მას მივანდო“ — თქვა გუშინ ნიკ მალეტმა.

მატჩის ვიდეოჩანაწერში თურმე კარგად ჩანს კრიბისა და რასი ერასმუსის შეხლა-შემოხლა. სვანეპულს მოჩხუბართა განცალკევება მოუნდომებია და კრიბისთვის ხელი სახეზეც შეუვლია. სწორედ ამ მომენტში უკბენია „შავს“ „ქურციკისთვის“, როგორც ახალზელანდიელთა მხრიდან ისმის, ინსტიქტურად. რითი დასრულდება ეს ამბავი, ჯერჯერობით უცნობია, ყოველ შემთხვევაში, რონ კრიბს მომავალში კბენის სურვილი, ალბათ, აღარ გაუჩნდება.

გაგი გურული

ექვსი კარტილა დარჩა

სამეფო რბოლების პარალელურად თავისი გზით მიდის ამერიკული ფორმულაც — ფედექს კარტის ჩემპიონატი. მარტში დაწყებული ოცეტაპიანი სეზონის დასრულებამდე არც ისე ბევრი, ექვსი რბოლაა დარჩენილი.

ბრძოლაში ჩაბმული 27 პილოტიდან საჩემპიონო შანსს თეორიულად საკმაოდ ბევრი, მონაწილეთა ნახევარზე მეტი ინარჩუნებს, რეალურად კი ისე ჩანს, რომ ტიტულს ექვსი დაწინაურებული გაითამაშებს. აქ ოკეანისგაღმა მიღებული ქულათა დარიცხვის სისტემაცაა გასათვალისწინებელი. ევროპულ ფორმულაში გამარჯვება, მოგეხსენებათ, 10 ქულად ფასობს, ჩათვლას კი მხოლოდ ექვსეული იძლევა. კარტში ქულებს 12 მრბოლი იღებს, შესაბამისად, მოგებაც ორჯერ მეტი, 20 ქულა ღირს.

ვისკონსინის შტატში, ელჰარდ ლეიკის ავტოდრომზე გამართული მე-14 ეტაპის წინ ამერიკელი მაიკლ ანდრეტი უახლოეს მდევარს, თანამემამულე ჯილ დე ფერანს ბლომად, 20 ქულით კი უსწრებდა, მაგრამ მორიგმა მეოთხე გამოთთშვამ ლიდერის პოზიცია საფუძვლიანად შეარყია. ერთხანს ევროპაში ნამოღვაწარმა ბრაზილიელმა რობერტო მორენომ მეოთხე ადგილისათვის მიღებული 12 ქულით მნიშვნელოვნად შეამცირა ჩამორჩენა და ოთხი რბოლის წინ დაკარგული ლიდერობის დაბრუნების მშვენიერი შესაძლებლობაც გაუჩნდა. კვირას „მოტოროლას“ პრიზზე ასპარეზობა კი კანადელმა პოლ ტრეისიმ საკმაოდ მოულოდნელად მოიგო, რადგან სტარტზე მის „რეინარდს“ „ჰონდას“ ძრავა ჩაუქრა და ვიდრე ხელმეორედ დაქოქავდა, ლამის მთელმა ქარავანმა ჩაუქროლა, მაგრამ გამოცდილმა პილოტმა 350-კილომეტრიანი დისტანციის შუაში მოახერხა ყველასთვის გაესწრო და ბოლომდე შეენარჩუნებინა პირველობა.

აღსანიშნავია, რომ 25 მრბოლიდან ფინიშამდე მხოლოდ ათმა მიაღწია. ანდრეტის გარდა ბოლიდმა უმტყუნა შარშანდელ ჩემპიონსა და წლეულს ამერიკელთა საკულტო, ინდიანაპოლისის 500-მილიანი რბოლის მომგებ კოლუმბიელს ხუან მონტოიას, აგრეთვე დე ფერანს, კრისტიან ფიტიპალდის, მაურისიო გუჟელმინს, მარკ ბლანდელს, სინჯი ნაკანოს...

მომდევნო ეტაპის წინ, რომელიც 3 სექტემბერს კანადაში, ვანკუვერის ტრასაზე შედგება, სატურნირო ვითარება ასეთია: 125 ქულით ანდრეტი ლიდერობს, შემდეგ მოდიან მორენო — 112, დე ფერანი — 106, ადრიან ფერნანდესი (მექსიკა) — 103, კენი ბრაკი (შვედეთი) — 102 და ტრეისი — 100.

მონტოია, რომელსაც გაისად ფრენკ უილიამსის ბოლიდის საჭესთან ვიხილავთ რალფ შუმახერის მეწყვილედ, 77 ქულით ჯერჯერობით მხოლოდ მეათე ადგილზეა.

გია ახალაძე

იან ულრიხი

საკლასიფიკაციო დომხალი

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა (ვსკ) ორშაბათს გამოაქვეყნა მრბოლთა ინდივიდუალური კლასიფიკაცია, რომელშიც წინა თვესთან შედარებით საკმაოდ ბევრი ცვლილებაა. დავიწყოთ იმით, რომ კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა გერმანელი იან ულრიხი, რომელმაც მსოფლიოს თასის ეტაპზე — „ციურიხის ჩემპიონატში“ მეორე ადგილის დაკავებით მოიპოვა საჭირო ქულები. 1997 წლის „ტურ დე ფრანსისა“ და 1999 წლის „ვუელტას“ მომგებმა ულრიხმა ფრანჩესკო კასაგრანდეს გადასწრო, იტალიელი ციურიხში მესამე იყო.

მსოფლიოს თასის შვეიცარიული ეტაპის მომგებმა ლორან დიუფომ ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთა — „საეკოს“ შვეიცარიელი მრბოლი 79-ე ადგილიდან მე-40-ზე აღზევდა. „ციურიხის ჩემპიონატში“ მეოთხე ადგილზე გასულ, იტალიელ დავიდე რებელინის ახლა კლასიფიკაციაში მერვეს ნაცვლად მეექვსე ადგილი უკავია, მისი თანამემამულე პაოლო ბეტინი კი მეხუთე საფეხურიდან მეცხრემდე დაქვეითდა. კლასიფიკაციის ყოფილმა პირველმა ნომერმა ლორან ჟალაბერმა ვარდნა შეაჩერა და მეათე ადგილსაც კი მიაღწია.

ვსკ-ს კლასიფიკაცია

1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი)	2471,75 ქულა
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა)	2353
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)	1807
4. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა)	1590
5. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი)	1549
6. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი)	1386
7. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო)	1296
8. მარკუს ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი)	1368,25
9. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი)	1266
10. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)	1210,75
11. ოსკარ ფრეირი (ესპანეთი, მაპეი)	1210
12. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე)	1195
13. სტეფანო გარძელი (იტალია, მერკატონე უნო)	1186
14. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)	1186
15. მიკელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი)	1185,25

ჩრდილოური ალიანსი სამხრეთელთა ბატონობის დასამხობად

საფრანგეთი და ინგლისი ამიერიდან ერთად მოემზადებიან, რათა მსოფლიოს თასი ბოლოს და ბოლოს ჩრდილო ნახევარსფეროს გუნდმაც მოიგოს

ინგლისის ნაკრების თავკაცი კლაივ ვუდვორდი დაახლოებით ერთი კვირაა, საფრანგეთში იმყოფება. იგი თავის ფრანგ კოლეგას ბერნარ ლაპორტს შეხვდა, მერე კი აჟანში გაემგზავრა, რათა ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი მწვრთნელის, კრისტიან ლანტას მუშაობის სპეციფიკა შეისწავლოს. თუმც ეს ყველაფერი როდია. ამ ორი ქვეყნის ნაკრებები ამიერიდან ძალიან მჭიდროდ ითანამშრომლებს. უახლოეს მომავალში საფრანგეთი და ინგლისი განუყრელი სპარინგ-პარტნიორები გახდებიან. ეს ლაპორტმა და ვუდვორდმა გადაწყვიტეს და, ალბათ, ორივე ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებიც დათანხმდებიან.

როცა ფრანგი და ინგლისელი ჩინოსნები შეთანხმდებიან, ბრიტანელები საფრანგეთში ჩავლენ დგუნდები ერთად ივარჯიშებენ. ეს დაახლოებით 16 ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი. ვალში არც „მამლები“ დარჩებიან და ლა მანშის სრუტეს ექვსი ერის პირველობის წინ გადალახავენ. რამდენიმე ხნის წინ ეს ამბავი დაუჯერებელი იყო, ახლა კი რეალობაა!

ლაპორტმაც და ვუდვორდმაც კარგად შეისწავლეს სამხრეთელი ბობოლების მზადების სპეციფიკა და დაასკვნეს — მსოფლიოს თასი ჩრდილო ნახევარსფეროს გუნდმა რომ მოიგოს, ძალების გაერთიანებაა საჭირო. სამხრეთელებს სიფრთხილე მართებთ, თორემ შეიძლება 2003 წლის მსოფლიოს თასი შინიდან (ამ ტურნირს ავსტრალია და ახალი ზელანდია მასპინძლობენ) ჩრდილოელ მომხდურებს გაატანონ.

ფრანგები და ინგლისელები მხოლოდ ერთობლივი ვარჯიშებით არ შემოიფარგლებიან, ისინი ამხანაგური მატჩების გამართვასაც აპირებენ. ამ თამაშებს შეიძლება ტესტის სტატუსი არც მიენიჭოთ. ვუდვორდის აზრით, ფრანგებთან ერთად წვრთნა მის უკანახაზელებს მეტოქის შეტევების დროს უფრო მშვიდად და აუღელვებლად დაცვას ასწავლის, რადგან „მამლების“ სამმეოთხედელები მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესონი არიან. დერეფანში ბურთის მოპოვების ტაქტიკასაც უფრო დახვეწენ ინგლისელები, რადგან როცა მარტონი ემზადებიან, ნაკლებად სერიოზულად ეკიდებიან ამ საქმეს და თან ბურთს არავინ ეცილებათ.

„მორკინლების ვარჯიში მეტად დაძაბული იქნება ამიტომ, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებსაც მოვიწვევთ ვარჯიშებზე“ — ამბობს ბრიტანელთა თავკაცი, რომლის აზრითად ეს მზადება ორივე გუნდს წაადგება ევროპელთა სამხრეთული ტურნეების წინ. „ორივე გუნდი ამ შემოდგომას ავსტრალიაში შეხვდება. ამიტომაც ერთმანეთს დიდ სამსახურს გავუწევთ, თუ მსოფლიოს ჩემპიონების სუსტ და ძლიერ მხარეებს ერთად გავარჩევთ და მათ დასამარცხებელ გზებსაც ერთად დავსახავთ“ — თქვა ვუდვორდმა.

ამ იდეას, რა თქმა უნდა, მომხრეებიც გამოუჩნდა და მოწინააღმდეგეებიც. „ეს რევოლუციური წამოწყებაა! ასე, ალბათ, სამხრეთელთა ბატონობასაც დავამხობთ. ოღონდ არ დაგვავიწყდეს, რომ საუკეთესო მტრები საუკეთესო მეგობრები ვერასოდეს გახდებიან“ — უთხრა ფრანგულ გაზეთ „მიდი ოლიმპიკს“ „სტად ფრანსეს“ ინგლისელმა ლეგიონერმა რიჩარდ პულ-ჯონმა.

ყოფილმა მორაგბემ ჯეფ პრობინმა კი განაცხადა, რომ ერთად მხოლოდ მსოფლიოს თასის წინ შეიძლება მზადება და არა ექვსი ერის პირველობის დაწყებისას, და რომ ასეთმა ქმედებამ შეიძლება ექვს ერს საერთოდ დაუკარგოს ავტორიტეტი.

ასეა თუ ისე, საფრანგეთი და ინგლისი ამიერიდან ერთად მოემზადებიან, წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც, ერთმანეთშიც უფრო ხშირად ითამაშებენ. საკითხავი ისაა, მსოფლიოს რაგბში სამხრეთელთა ბატონობის დასამხობად ჩრდილოური ალიანსი საკმარისი იქნება, თუ არა.

გაიოზ თალაკვაძე

ფრანგები და ინგლისელები სამხრეთელთა წინააღმდეგ გაერთიანდნენ

ტატიანა კოტოვა

გეილ დივერსი

ოქროსმაძიებელნი

IAAF GOLDEN LEAGUE

ხვალ ციურიხში და 1 სექტემბერს ბერლინში გამართული ეტაპებით დასრულდება „ოქროს ლიგის“ წლევანდელი პირველობა. დარჩა მხოლოდ ექვსი კაცი, ვისაც ლიგის ჯეკპოტზე ანუ 50 კილო ოქროზე პრეტენზიის გამოცხადება ჯერაც შეუძლია. მათგან ყველაზე კარგ დღეში 110 მეტრზე მოთარჯრბენე, ამერიკელი გეილ დივერსია. დივერსმა წლეულს საერთოდაც აიწყვიტა. წლის 10 საუკეთესო დროიდან შვიდი მისია და პარიზის „ოქროს ლიგის“ გამოტოვებას თუ არ ჩავთვლით, სხვა ოთხი ეტაპი არხეინად მოიგო. ახლა დივერსს ერთი გამარჯვებაც უნდა და მინიმუმ რვა კილო და 333 გრამი ოქრო შეემატება, ან მეტი, თუ სხვა კანდიდატებმა ვერ აჯობეს. დანარჩენებს, ციურიხსა და ბერლინში გამარჯვებაც მართებთ, რახან აქამდე მხოლოდ სამ-სამი ეტაპი მოიგეს, ჯეკპოტის დასაუფლებლად კი ხუთი მოგებაა საჭირო. საეჭვოა, დიდად გაუჭირდეს დედამიწელ მძლეოსანთა ლიდერს, ჰიშამ ელ გურუჯს. იგი საშუალო დისტანციების უცილო მეფედ იქცა და 1500 მეტრის, მილისა და 2000-მეტრიანი დისტანციების რეკორდები ხომ დაისაკუთრა, „ოქროს ლიგაზეც“ რამდენიც ირბინა, ყველა მოიგო. ბრიუსელში გურუჯი ერთ მილს ირბენს, ბერლინში — კილომეტრნახევარს და თუ ორივე მოიგო (რაშიც ერთობ დარწმუნებული ვართ), ოქრო მასაც ერგება.

მორის გრინიც თავისი დისტანციის ბატონ-პატრონია, მაგრამ 100 მეტრი სხვა საქმეა, იქ ელვისებურად წყდება ყველაფერი და შეიძლება სხვებმა (ატო ბოლდონი და ა. შ.) სიურპრიზები მოამზადონ, თუმცა იმის ალბათობა, რომ გრინი ორივე დარჩენილ ეტაპს მოიგებს, მაინც დიდია.

და სხვები... ალჟირელი ალი საიდ სიეფი (5000 მ), რუსი ტატიანა კოტოვა (სიგრძეზე ხტომა) და, რაც მთავარია, ნორვეგიელი ქალ-ვაჟკაცი, ტრინე ჰატესტადი, რომელმაც წლეულს შუბის ტყორცნის მსოფლიოს რეკორდი ორჯერ დააშხო. ჰატესტადმა „ოქროს ლიგის“ სამი ეტაპი და მრავალი სხვა ტურნირიც დიდი უპირატესობით მოიგო, მაგრამ ორჯერ უეცარი ჩავარდნა ჰქონდა — პარიზისა და მონაკოს „ოქროს ლიგებზე“ მას რუსმა ტატიანა შიკოლენკომ აჯობა. ტრინემ ორივე დარჩენილი ეტაპი უნდა მოიგოს, სხვანაირად მის წილ ოქროს სხვა წაიღებს.

დავით გულუა

სოტომაიორი დოპინგს გამჟარა და ტრავმას შემჟარა

იტალიური ვიარეჯოდან ამბავი მოვიდა — ხავიერ სოტომაიორის საათივით აწყობილი საქმე შეფერხებულა. კუბელმა მძლეოსანმა, ვისი საკუთრებაც სიმაღლეზე ხტომის მსოფლიო რეკორდია (2,45 მ), დისკვალიფიკაციის თავიდან აცილების შემდეგ ფრანგულ მონტობანში რიგითი ტურნირი მოიგო და იმას მონაკოს „ოქროს ლიგა“ მიაყოლა 2 მეტრითა და 30 სანტიმეტრით. მერე დაიქადნა სიდნეის ოლიმპიადისთვის ჩვეულ ფორმაში ვიქნებიო და ასეთ საპასუხისმგებლო დროს დაშავდა.

ვიარეჯოში სოტომაიორის გამარჯვება უეჭველი ჩანდა, მაგრამ კუბელი 2,28 მეტრის გადალახვისას შეფერხდა, პირველ ცდაზე თამასა ჩამოაგდო. მეორედ ახტომისას სახეზე შეეტყო, რომ ცუდად გახდა. ამის შემდეგომ 20 წუთის განმავლობაში პირქვე ეგდო და არ იძვროდა, თითქოს გონება დაკარგაო. ირგვლივ მოფაციფუცეებმა სწრაფად დაადგინეს, რომ კუბელს მარცხენა ბარძაყი სტკენია და მის დაამებას შეუდნენ. ტრავმის სირთულეზე ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან, ხოლო სოტომაიორის გაჭირვებით ყველაზე უფრო ალჟირელმა აბდელკადერ აბდურახმანმა ისარგებლა, რომელმაც 2 მეტრითა და 25 სანტიმეტრით გაიმარჯვა. შეწუხებულ კუბელებს გულს ის თუ მოუფონებთ, რომ სიგრძეზე ხტომა მაინც მათმა კაცმა მოიგო, ივან პედროსო მოკრძალებულ 8,10 მეტრზე გადახტა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა. ქალთა სიგრძეზე ხტომაში არავითარი სენსაცია არ მომხდარა, ბრიტანელად დაბადებულმა იტალიელმა, ფიონა მეიმ 6,74 მეტრით დამაჯერებლად გაიმარჯვა, თუმცა არც ეს შედეგია უმაღლესი დონის მხტომელთა საკადრისი, მეის მეტი მართებს, თუ სიდნეის ოლიმპიადაზე რაიმეს მიღწევას აპირებს.

სხვაფრივ, ერთი ჩვეულებრივი ტურნირი იყო. ნახსენები ხალხის გარდა ელიტა იქ არ ყოფილა და სოტომაიორის ფათერაკი რომ არა, ვიარეჯოს ამბებზე თხრობას არც ვაპირებდით.

დავით გულუა

ხავიერ სოტომაიორს ბარძაყმა უმტყუნა

ჭადრაკი

რუბინშტეინი. რაბინშტეინი!

Rubinstein Memorial 2000 Polanica Zdroj

პოლონეთში აკიბა რუბინშტეინის მემორიალი მიმდინარეობს. რამდენიმე ელიტარული მოჭადრაკე და კიდევ 500-მდე დიდოსტატი, ოსტატი და მისთანები პოლიანიცა-ზდრუიში მოგროვდა, რათა გენიალური ებრაელი მოჭადრაკის სახელით 32-გრადუსიან სიცხეში საჭადრაკო ფიცრის ქვეშ თავისი ადგილი ერთხელაც მონახოს.

რუბინშტეინის ვინაობას მკითხველს მოკლედ შევახსენებთ. 118 წლის წინ პოლონეთისა და რუსეთის საზღვართან მცხოვრები ღარიბი ებრაელის მე-12 შვილს, თავიდან რაბინად ზრდიდნენ, მაგრამ ბავშვობაში რომელიღაც საჭადრაკო წიგნი ჩაუვარდა ხელში და მერე სხვა რამე აღარც გახსენებია. საუკუნის პირველ ნახევარში რუბინშტეინი წლების მანძილზე წეწავდა მსოფლიოს ჩემპიონთა ნერვებს, მაგრამ ფინალური მატჩი ვერც ლასკერთან ითამაშა, ვერც კაპაბლანკასთან და ვერც ალიოხინთან, რადგან საპრიზო ფონდისთვის ფული ერთხელაც ვერ იშოვა. ტურნირებში კი რუბინშტეინს თითოეული ნახსენები ჩემპიონი არაერთხელ გაუმწარებია, 1912 წელს ზედიზედ მოიგო პიეშტიანის, სანქტბესტიანის, ბრესლაუსა და ვილნიუსის ტურნირები, რაც დაახლოებით დღევანდელი ლინარესის, ვიკ-ანზეეს, დორტმუნდის და სარაევოს ტურნირებში მოგებულებთ გამარჯვებას ნიშნავს. 1932 წელს რუბინშტეინმა ჭადრაკზე ხელი აიღო და 29 წლის შემდეგ ბელგიაში დარდაიცვალა.

წლეულს რუბინშტეინის ხსოვნას ბევრმა სახელოვანმა მოჭადრაკემ მიაგო პატივი. პოლიანიცა-ზდრუიში ჩავიდნენ ცოტა ხნით ადრე მონტეკატინი-ტერმეს ტურნირში გამარჯვებული ვასილი ივანჩუკი და იქვე მოთამაშე ალექსეი შიროვი. ბილში გამარჯვების შემდეგ პოლონეთს გადმოინაცვლა პიოტრ სვიდლერმაც, ხოლო სუპერტურნირის (ცალკე A და B კლასის ღია ტურნირებიც მიდის) დანარჩენი 7 მონაწილე აგრეთვე აღნიშვნის ღირსია: ებრაელი ბორის გელფანდი, ჰოლანდიელი ლუკ ვან ველი, უნგრელი ზოლტან ალმაში, სერგეი მოვსესიანი ჩეხეთიდან, ბელარუსი ალექსეი ფიოდოროვი, რომელსაც ამ წერილის ანტიგმირობა ელის და მასპინძლები: მიხეილ კრასენკოვი და ტომაშ მარკოვსკი, ამას წინათ კინადამ ევროპის ჩემპიონი რომ გახდა.

ფიოდოროვის ანტიგმირობა იმაში გამოიხატება, რომ პოლიანიცა-ზდრუიში ხუთი ტური გასრულდა და იგი ხუთი წაგებით ისე მყარად ჩაჯდა აუტსაიდერის სავარძელში, იქიდან ვერა ძალა ვერ აპგლეჯს. ბილის ტურნირშიც გვყავდა მაჩანჩალა იოზეფ გალაჰერი, მაგრამ მან თავიდან ნახევარი ქულა მაინც მოითვალა. ბელარუსი კი უაზროდ ირჯება. მეხუთე ტურში შიროვი ეთამაშებოდა და დებიუტად მეფის გამბიტი ირჩია. თუმცა ფიოდოროვი ამ დაწყების სპეციალისტად ითვლება, მაინც გავბედავთ ვიკითხოთ: რომელი საუკუნე? აკი შიროვმაც ივივე იფიქრა და მეტოქეს ლაღად გადაუარა. მისგან მხედრის შეწირვამ იკმარა, რომ თეთრი მეფის დაცვა ნანგრევებად ქცეულიყო და როცა შავი პაიკები ყელზე დაადგნენ და იქიდან კიდევ ვიღაც-ვიღაცეები წამოვიდნენ, თეთრმა გვირგვინოსანმა კაპიტულაციის აუცილებლობა სცნო. ეს ამბავი 22-ე სვლაზე მოხდა, მანამდე კი იყო წინა ტურები, გიჟური ბრძოლა და მესამე ტურის ორიოდე კურიოზიც: გელფანდი სკამზე ისე დაებერტყა, ეს უკანასკნელი დაიშალა და გამოცვალეს, ხოლო ტურის ხუთი პარტიიდან ოთხი შავებმა (!) მოიგეს. ფავორიტებად ივანჩუკი, შიროვი, სვიდლერი და გელფანდი ითვლებიან, მაგრამ წერილის ბოლოს დართული მონაცემების თანახმად, ლუკ ვან ველი ბარე ორ ფავორიტს სჯობნის. დასახელებულთაგან პირველ ტურში შიროვმა და სვიდლერმა ერთმანეთთან იომეს. „პირველი 15 წუთი მეტოქეებმა ფაქტობრივად დაფაზე დუხედავად ითამაშეს — იტყობინება ტურნირის შემსწრე კომენტატორი, დიმიტრი ნოვიცკი — ისინი უჭვრეტდნენ დარბაზს, მაყურებლებს, გრანდიოზულ თეატრალურ ჭაღს, თითქოს ფიქრობდნენ, რა მოხდება, რომ ჩამოვარდესო. დაფამ კუთვნილი ყურადღება მხოლოდ მაშინ მიიპყრო, როცა სვიდლერმა ახალი გეგმა გამოიყენა, მაგრამ ამან გამარჯვებისთვის არ იკმარა. ყაიმი.“ შემდეგ სვიდლერმა წაადო გელფანდთან, მოუგო ალმაშის, ორი ყაიმი მიითვალა და ახლა ივანჩუკთან და მარკოვსკისთან ერთად შესაძლო ქულათა ზუსტად ნახევრით ცხრილის შუაწელს ავსებს, ამ დროს კი სამი კაცი: გელფანდი, ვან ველი და შიროვი „+3“-ით ლიდერობს, ხოლო ფინიშამდე 4 ტური დარჩა.

დავით გულუა

სატურნირო ვითარება 5 ტურის შემდეგ:

1-3. გელფანდი, ვან ველი, შიროვი — 4; 4-6. ივანჩუკი, მარკოვსკი, სვიდლერი — 2,5; 7-8. ალმაში, მოვსესიანი — 2; 9. კრასენკოვი — 1,5; 10. ფიოდოროვი — 0.

ოლიმპიზმი

გულუხვობა თუ ვითომ გულუხვობა?

სიდნეის ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად, თითქმის ყველა ქვეყანამ შეაგულიანა თავისი სპორტსმენები, ოღონდ მედლები მოიპოვეთ და საპრიზოები ჩვენზე იყოსო. ამ მხრივ ყველაზე შორს ტაივანელები წასულან. ისინი თავიანთ ოლიმპიელებს გამარჯვების შემთხვევაში საარაკო პრემიას — 320 ათას დოლარს დაპირდნენ, რაც ყველა სხვა ქვეყნის ფინანსურ პრემიებს ბევრად აღემატება.

შეგახსენებთ, რომ საქართველო თავის ჩემპიონებს 50 ათასი, ხოლო ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებს, შესაბამისად, 30 და 20 ათასი დოლარის შესაბამის ლარს დაპირდა. თითქმის ივივე სურათია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც.

ტაივანელები ასეთ პრემიას რომ აწესებდნენ, ალბათ ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის შედეგები გაითვალისწინეს. მაშინ მათ ხომ ერთადერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს, ისიც ჩინელი მაგიდის ჩოგბურთელ ჩენ ჩინის წყალობით, რომელიც ტაივანის სახელით თამაშობდა, თორემ რომელი ჭკუათმყოფელი დაწესებდა 320-ათასიან პრემიას.

— ჩვენ სამხრეთ კორეისგან განსხვავებით არ ვაპირებთ გამარჯვებულ სპორტსმენთათვის სამუდამო პრემიების დანიშვნას. კორეაში, ოლიმპიადის ოქროსმედალოსანი ყოველთვიურად 813 დოლარს იღებს, რაც მთელი ცხოვრება გრძელდება. ოლიმპიადაზე გამარჯვებიდან 40 წლის მერე იგი 389760 დოლარს „გამოიმუშავებს“. — ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა ტაივანის ეოკ-ის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

საინტერესოა აზიის სხვა სახელმწიფოთა მიერ დაწესებული პრემიებიც. მართალია, ისინი ტაივანს ვერ გაუჯიბრებიან, მაგრამ მაინც საკმაოდ სოლიდურ თანხებს დაპირდნენ თავიანთ ოლიმპიელებს. ჰონკონგმა თავის ოლიმპიელებს 125 ათასი დოლარი დაუწესა ჯილდოდ, ჩინეთმა — 115 ათასი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთი ერთ-ერთი მოწინავეა ოლიმპიადებზე, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი ხაზინა საგრძნობლად შემცირდება. იაპონელებმა კი 96700-იანი ჯილდო დაუწესეს.

შედარებისთვის: გერმანელებმა სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონებისთვის სულ რაღაც 15 ათასი მარკა გადაინახეს.

გიგა გურასაშვილი

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით



ტელ: 60-21-23



ბეირუთსა და თბილისში

ამ შემოდგომით ჩამშვიდებულ ლიბანში აზიის საფეხბურთო თასი გათამაშდება. ბეირუთის მთავარ სტადიონზე უკვე ამონტაჟებენ უზარმაზარ თოჯინა ნურს — მომავალი შეჯიბრის სიმბოლოს. ნური გახლავთ ჭყეტელად შეღებილი ერთი იქაური ჩიტის სახეხატება, რომელიც მხატვარ ალი ბაასირის შეუქმნია. აქვე მოგახსენებთ, რომ ნურ არაბულად თურმე სინათლეს ნიშნავს.

ბეირუთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით კი, ქალაქ თბილისში, იქაურ „ლოკომოტივთან“ შესაჯიბრებლად ჩამოსულიყო ბრატისლავის „სლოვანი“, რომელსაც დიღმის ბაზაზე ევარჯიშა. ახლად განაკრეჭი ბალახი კი ბაზიდან ტომრებითა და ურიკებით გაჰქონდათ დიღმელ ბებიებს, რომელთაც ამ საქმეში ერთი სლოვაკი მწვრთნელიც ეხმარებოდა.

საზოგადოდ კი, ბალახი დიდი დეფიციტი გახლავთ. გვალვის გამო ერთი „პრესი“ 3,5 ლარი ღირს, ნაცვლად შარშანდელი 0,5 ლარისა. ამიტომ ვისაც ძროხები ჰყავს, დიღმური ნაკრეჭი მისთვის პირდაპირ მისწრებაა. ასე რომ, საკვირველი ამ ფოტოში არაფერია.

მაშველები, ცისფრები და ჩირაღდანი

ბოდიში და, კვლავ სიდნეიში ვართ. ოღონდ ეს ფოტო შარშანდელი გაზაფხულისაა — სიდნეის მამათმავალთა და ლესბოსელ ქალთა აღლუმის ერთ წამს ასახავს. საქმეც ისაა, რომ ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალზე თავისებურად მორთულ-მოკაზმული „ცისფრებიც“ გაიცეკვებენ. ეს პირველად ყოფილა ახალი ერის ოლიმპიადებში, რომ გეები სპორტის იდეალთა სახოტბოდ მიუწვევიათ. ავსტრალიის რელიგიური ჯგუფები ამას ძლიერ ეწინააღმდეგებიან და მედიის ოფისებშიც მოსახლეობის ზარები არ წყდება, მაგრამ განა ავსტრალიაშივე არ გაიჭედა კინოდარბაზები ცისფერთა საკულტო ფილმ „პრისცილა, უდაბნოს დედოფლის“ საცქერლად? ამ ავსტრალიურმა ფილმმა ხომ ყამირი გატეხა და მამათმავალნი დედათმავალთ გაუთანაბრა ოზების ქვეყანაში?

სანამ ეს ამბები ხდება, ოლიმპიური ჩირაღდანი სიდნეისკენ მიიწევს და პატარა ქალაქ გლენ ინესში სქოთურად მოსილ ლაიზა რიდს უპყრია ხელთ. ლაიზა მთიანეთის სქოთთა (ჰაილენდელთა) დარად გვესალმება, ცეცხლის ასდღიანი მოგზაურობა ავსტრალიის მიწაზე კი გრძელდება.

განთქმულ ბონდი ბიჩზე კი, სადაც სიდნეის მოსახლეობის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად პლაჟის ფრენბურთის სტადიონი აშენდა, სერფინგის მაშველთა გუნდი ემზადება. ამ ბიჭების ხელობა რთულია, მაგრამ ჯიგრიანი. თუ მოსერფეს რამე ფარსაგი მოუხდება, ესენი უნდა შეებან ტალღებს და თავიანთი ყალყზე მდგომი ნავით გამოიყვანონ სპორტსმენი ნაპირზე.

დაბოლოს: პატარა სალვადორის პრეზიდენტი ფრანსისკო ფლორესი ეროვნულ დროშას გადასცემს ევა მარია დიმასს, ქვეყნის რვაკაციანი ოლიმპიური გუნდის მებაირაღეს.

REUTERS სიდნეიდან

REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge